# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 30 მარტი, 2013 წელი.

№59 (7186)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


# პრეზიდენტის დიპლომატიური აბსურდი



③



თბილისის საკრებულოში შექმნილმა სამარცხვინო მდგომარეობამ, უფრო სწორად, გუშინდელმა ფარსმა, ცხადი გახადა, რომ ნაციონალთა პოლიტიკური პირამიდა ჩამოშლის პირასაა. ასე რომ, წყალწაღებულ ნაციონალთა მხრიდან ხავსს ჩაბღაუჭება სულ უფრო ამაო ხდება.

# თუმცა კონსტიტუცია კრძალავდა და კრძალავს...

## რატომ გაასაჩუქრა სააკაშვილმა სახელმწიფოს ქონება? ④



# სახიფათო პროცესი გრძელდება! ⑤



## აღიარებულის გაუცემლობის გამო, შესაძლოა, სახელმწიფოს ევროსასამართლოში უჩივლონ ②

## კვირაძალს საკითხავი

ზურაბ გორგილაძე

### რამდენიმე ლექსი „რჩეულიდან“ ⑥

ზღაპარ იყო...
ზღაპარ იყო...
ღვინო ვსვი და ჩაი არა,
ამიტომაც ჩემმა ყოფნამ, ჩალაბულად ჩაიარა!..
რა ყოფილა ეს სიბერე! –
ყველაფერი მიმოსვარა...
გიხაროდეს!
გიხაროდეს!
ჩაის ვსვამ და ღვინოს არა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ალიან-ჩალიანი

## საააკაშვილი ოჯახთან ერთად ეგვიპტეში ისვენებდა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოჯახთან ერთად ეგვიპტეში ისვენებდა, — ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, დეპუტატმა ირმა ნადირაშვილმა განაცხადა. ირმა ნადირაშვილის თქმით, პრეზიდენტი ოჯახთან ერთად 3 დღით იმყოფებოდა დასასვენებლად და საქართველოში პარასკევს დაბრუნდა.

## ნაცები უგულავას პრეზიდენტად არ მოიაზრებენ

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საპრეზიდენტო კანდიდატად თბილისის მერს გიგი უგულავას არ განიხილავს. როგორც ჟურნალისტებს ნაძალადევის რაიონში ადგილობრივ მოსახლეობასთან მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის წარდგენის შემდეგ დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ განუცხადა, არ აპირებს პრეზიდენტის პოსტზე კენჭი იყაროს და არც პარტია განიხილავს ამ საკითხს.



— მე ვარ ქალაქის მერი, არჩეული პირდაპირი წესით 2014 წლამდე. მაქვს უამრავი გეგმა, პროექტი, რომლებიც დაწყებულია, სოციალური, ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც უნდა მივიდეს 2014 წლამდე და, შესაბამისად, მომდევნო მერმა, რომელსაც აირჩევს ქალაქი, იმან გადაიბაროს. ეს თანამდებობა რომ მიკავია, ჩემთვის დიდი პატივი და გამოწვევაა. შესაბამისად, არსად წასვლას არ ვაპირებ, რაც არ უნდა სხვა თანამდებობა მიმზიდველი ჩანდეს ვინმესთვის, — აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

## „ტფილისის ჰამქარს“ ახალი თავმჯდომარე ჰყავს

„ტფილისის ჰამქარს“ ახალი თავმჯდომარე ჰყავს. ალექსანდრე ელისაშვილი თამარ ამაშუკელმა შეცვალა. „ტფილისის ჰამქრის„ წესდების მიხედვით, თავმჯდომარეს გამგეობის წევრები 3 წელიწადში ერთხელ ირჩევენ. ალექსანდრე ელისაშვილს ზედიზედ ორჯერ ეკავა ორგანიზაციის ხელმძღვანელის თანამდებობა.

თამარ ამაშუკელი განათლებით ხელოვნებათმცოდნეა. თბილისზე მზურნველთა გაერთიანება „ტფილისის ჰამქარი“ 2006 დაარსდა. მისი მიზანი თბილისის ურბანული მემკვიდრეობის დაცვაა.

**ინტერპრესი**

სახალხო დიპლომატია

# კონფლიქტის მოგვარების გზა

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიორგი ვოლსკი სამეგრელოს რეგიონში კონფლიქტის თემებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენაზე მათი მოსაზრებები მოისმინა. შეხვედრის მონაწილეების თქმით, კონფლიქტის დარეგულირების ერთ-ერთი რეალური გზა მოსახლეობის დაახლოებაა, მაგრამ ეს ვერ მოხდება იმ პირობებში, როცა ადმინისტრაციულ საზღვარზე გადაადგილება პრობლემაა.**

არასამთავრობო ორგანიზაციები ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრები ადამიანის უფლებების დაცვას მთავარ საკითხად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ ქართულ-აფხაზური კავშირების განახლებისთვის რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენაა საჭირო.

ამ კანონმა სერიოზული დარტყმა მიაყენა ქართულ-აფხაზურ ეკონომიკურ კავშირებს. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ყოველგვარი ეკონომიკური აქტივობა ისჯება. ოკუპანტი თავის ადგილზეა და თავის საქმეს აკეთებს. ეს კანონი ზღუდავს არა ოკუპანტს, არამედ გვზღუდავს ჩვენ. ამიტომ ამ კუთხით რაღაც გასაკეთებელია.

ოკუპირებული გალის რაიონის მკვიდრმა ოთარ აძინბაიამ განაცხადა, რომ სამეგრელოს აფხაზეთთან ნათესაობა და საერთო ტრადიციები აკავშირებს. ის კონფლიქტის მოგვარების გზად სახალხო დიპლომატიას, კერძოდ, ძველი კავშირების აღდგენას მიიჩნევს:

**„კონფლიქტის მოსაგვარებლად უნდა მივიდნენ ის ადამიანები, რომლებსაც სჯერათ ერთმანეთის. აფხაზები ის ხალხია, რომლებსაც დიდი კულტურული კავშირი ჰქონდათ მეგრელებთან და, რასაკვირველია, შემდეგ მთელ საქართველოსთან. 40 წელს გადასულმა ყველა აფხაზმა ბრწყინვალედ იცის ქართული ენა. ჩვენ ტრადიციებით ერთი ვართ. დღესაც მეგრელი ქალი აფხაზ ვაჟზე ქორწინდება, შემდეგ ეს ქართული მაყრიონი გადაჰყავთ აფხაზეთში და მიდის ქორწილები. ეს შერიგების ერთ-ერთი გზაა“,** — ამბობს ოთარ აძინბაია.

ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასიის“ ხელმძღვანელის ალუ გამახარიას თქმით, სამეგრელოდან უნდა დაიწყოს



სახალხო დიპლომატიის განვითარება ქართველებსა და აფხაზებს შორის, ამის უმთავრეს ხელის შემშლელ ფაქტორად კი ის ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონს ასახელებს:

**„ამ კანონმა სერიოზული დარტყმა მიაყენა ქართულ-აფხაზურ ეკონომიკურ კავშირებს. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ყოველგვარი ეკონომიკური აქტივობა ისჯება. ოკუპანტი თავის ადგილზეა და თავის საქმეს აკეთებს. ეს კანონი ზღუდავს არა ოკუპანტს, არამედ გვზღუდავს ჩვენ. ამიტომ ამ კუთხით რაღაც გასაკეთებელია“.**

პარლამენტის წევრის გიორგი ვოლსკის განცხადებით, სახალხო დიპლომატიაზე ადრეც ხშირად საუბრობდნენ, მაგრამ დღეს მოისმინა იმ ადამიანების მოსაზრებები, რომლებსაც რეალურად საქმის კეთება შეუძლიათ.

**„საზოგადოება საკმარისად ინფორმირებულია, თუ რა ხდება საქართველოში და რა ხდება მსოფლიოში. საკმაოდ საინტერესო წინადადებები მოვისმინეთ. განსაკუთრებით საინტერესო იმ ადამიანების მოსაზრებებია, რომლებიც აფხაზეთიდან არიან და ურთიერთობები და კავშირები ახსოვთ და ისევ აქვთ. იმედია, ამ ან მომდევნო თვის ბოლოს ჩვენ შევაჯერებთ მიღებულ წინადადებებს და რაღაც სტრატეგიული გეგმის სახით წარმოვადგენთ“,** — განაცხადა ვოლსკიმ.

კონფლიქტების საკითხების განხილვა ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასიის“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ქუთაისის წარმომადგენლობისა და საზოგადოება „ზუგდიდელის“ ინიციატივით მოეწყო. საკითხების განხილვა დღეიდან გურიაში, შემდეგ აჭარასა და იმერეთშია დაგეგმილი. ზუგდიდში გამართულ შეხვედრას არასამთავრობო სექტორთან ერთად ზუგდიდის გამგებლის მოვალეობის დროებით შემსრულებელი ედიშერ თოლორაიაც დაესწრო.

**თამარ ზანთარაია**
**რადიო „თავისუფლება“**

შიდა ვალი

# აღიარებულის გაუცემლობის გამო, შესაძლოა, სახელმწიფოს ევროსასამართლოში უჩივლონ

**საბჭოთა ანაბრების საკითხი ბევრ პოსტსაბჭოთა, ახლად შექმნილ ქვეყანას მძიმე ტვირთად დააწვა. ბევრმა შიდა ვალად აღიარა და გადახდა დაიწყო, ზოგმა, მართალია, არ აღიარა შიდა ვალად, მაგრამ რაღაც თანხის (მიზერულის) გადახდა მაინც მოუწია. ყოფილ საბჭოეთში ანაბრების საკითხი ყველაზე ორგანიზებულად ლიტვამ და ყაზახეთმა მოაგვარეს.**

პირველმა პრივატიზაციიდან შესული თანხების 80 პროცენტი სწორედ მეანაბრეთა ვალების დასაფარად წარმართა. ყაზახებმა სხვა გზას მიმართეს — მათ გამოუშვეს ობლიგაციები 100 დოლარი ყოველ 15 ათას რუსულ რუბლში.

ყველაზე დიდი თანხა საბჭოთა მეანაბრეებისათვის ყოფილი „ძმური კავშირიდან“ აზერბაიჯანს აქვს გამოყოფილი — 1 მლრდ 264 მლნ 100 ათასი დოლარი, რომლისგანაც ადგილობრივმა „კაპიტალბანკმა“ უკვე გასცა 101 მლნ 265 ათასი დოლარის ეკვივალენტი აზერბაიჯანულ მანათებში. გადახდის სხვადასხვა წესები აქვთ შემოღებული სომხეთს, ბელარუსს, თურქმენეთს და ა. შ.

სოლიდურ თანხებს გასცემენ რუსეთშიც. იქ საბჭოთა ანაბრებზე თანხების გაცემა ჯერ კიდევ 1996 წლიდან დაიწყო, მაგრამ ხშირი მიგრაციისა და გაუმართავი სტატისტიკური სამსახურის გამო, ჯერჯერობით, მეანაბრეთა მხოლოდ ნახევარია დაკმაყოფილებული.

**რა ხდება საქართველოში?**

დღეისათის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მხოლოდ საქართველოა, სადაც ძვრაც კი არ არის საბჭოთა ანაბრებთან მიმართებაში.

გამსახურდიას პერიოდში მხოლოდ სადღაც თუ გაიჟღერებდა ეს საკითხი. მაშინ არ გვქონდა საკუთარი ვალუტა, დამოუკიდებელი საბანკო სისტემა და ა. შ.

მოქალაქეთა კავშირის მმართველობის პერიოდში შევარდნაძემ, მართალია, აღიარა საბჭოთა ანაბრები შიდა ვალად, მაგრამ აღიარების იქით საქმე არ წასულა. უფრო მეტიც, გაქნილ თაღლითთა ერთმა ჯგუფმა, პირამიდული წესით მოქმედი კომერციული ბანკების მეშვეობით, მოახერხა ათასობით თანამემამულის გადაგდებით ასეულობით მილიონი დოლარის მითვისება. ის პირები და ფული დღესაც ფიგურირებენ ქართული ბიზნესის სივრცესა და საბანკო სისტემაში. მაგრამ კარგა ხნის განმავლობაში ამ საკითხით (მიუხედავად დაზარალებულ მეანაბრეთა მოთხოვნისა), არავინ დაინტერესებულა. იმის გამო, რომ მოქალაქეებს პირდაპირი კონტაქტები ჰქონდათ კომერციულ და არა სახელმწიფო ბანკებთან, ამ უკანასკნელმა მოტყუებულთა თანხები არ სცნო შიდა ვალად.

იქნებ ახალი ხელისუფლება მაინც დაინტერესდეს ზოგიერთი დღეს მოქმედი კომერციული ბანკის პირველი პირებითა და მათ მიერ შექმნილი კერძო




ბანკების საწყისი კაპიტალის წარმომავლობით?

„ნაცების“ ხელისუფლებაში მოსვლის წინ, მათ წინასაარჩევნო პროგრამაში სახელწოდებით „ნაციონალური მოძრაობის ხელშეკრულება საქართველოსთან“, ერთ-ერთი პუნქტი სწორედ საბჭოთა ანაბრების დაბრუნება იყო. თუმცა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამ საკითხის მხოლოდ რიტორიკის დონეზე წამოწევა სააკაშვილის გუნდს მარტო არჩევნების წინ აგონდებოდა.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს კოალიცია „ქართულ ოცნებას“ წინასაარჩევნო პროგრამაში არც კი ჰქონია შეტანილი საბჭოთა ანაბრების დაბრუნების საკითხი.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში გიორგი კალანდაძე ამბობს, რომ ყველა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ მეტნაკლებად დაიწყო ამ საკითხის მოგვარება. ზოგმა დაასრულა კიდევაც. საქართველოს შიდა ვალად კი აქვს აღიარებული ანაბრები, მაგრამ არ არსებობს კონკრეტული სქემა და მეთოდიკა და არც მზაობა ანაბრების გაცემისა. სხვაგან ვინც არ აღიარა შიდა ვალად, რაღაც კომპენსაციებს მაინც გასცემენ. ჩვენთან ამ თემაზე საერთოდ საუბარიც არ არის.

გიორგი კალანდაძის მოსაზრებით, საბჭოური ანაბრების საკითხი არის სახელმწიფოს პრობლემა, რაც სისტემურია. ამ თანხების გაცემა არის რთული და ხანგრძლივი პროცესი, პლუს დიდ თანხებთან დაკავშირებული. რუსეთმა პროცესი 17 წლის წინათ დაიწყო და ჯერჯერობით საქმე ნახევრამდეც არა აქვს მიყვანილი.

ანაბრების საკითხის მიჩუმათება სახელმწიფოს მხრიდან უსამართლობაა. წინა ხელისუფლებებმა მას გვერდი აუარეს. მაგრამ საქმე გასაკეთებელია და თანხები ადრე თუ გვიან უნდა დაბრუნდეს, — მიიჩნევს ექსპერტი.

იურისტი გიორგი გიორგაძე კი აცხადებს, რომ როდესაც სახელმწიფომ ანაბრები შიდა ვალში აიღო, მან მეანაბრეების წინაშე თანხების გადახდის თაობაზე იურიდიული პასუხისმგებლობა აიღო. დაზარალებულებმა ევროსასამართლოში რომ იჩივლონ ის დაავალებს ხელისუფლებას განსაზღვროს ვადები, თანხები და სხვა პროცედურები. ამგვარი იძულებითი დავალების მიღება ახალი მთავრობისთვის სილის გაწვნის ტოლფასი იქნება, რისი მომხრეებიც და მსურველებიც საქართველოში საკმაოდ მოიპოვებიან, — ამბობს გიორგაძე.

**ზაზა ბილიხოძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№59. შაბათი, 30 მარტი, 2013 წელი.

## ელჩების დანიშვნა ჭიანურდება

*პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის თედო ჯაფარიძის განცხადებით, რასაც პრეზიდენტი აკეთებს, ეს დიპლომატიური აბსურდია. ასე შეაფასა ჯაფარიძემ პრეზიდენტის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, პარლამენტს დასამტკიცებლად მხოლოდ ხუთი ახალი ელჩის კანდიდატურა გადაეგზავნა.*

*თედო ჯაფარიძის თქმით, დიდი ხანია, იგი დიპლომატიურ სფეროში ტრიალებს და მსგავსი რამ არ სმენია და ცალკეული ქვეყნების მხრიდან ეს აღიქმება, რომ ქართულ მხარეს უბრალოდ არ სჭირდება იმ ქვეყნებში ელჩები. თედო ჯაფარიძე აცხადებს, რომ დიპლომატიური უწყებების ხელმძღვანელების დანიშნვა ისედაც გრძელვადიანი პროცედურაა და მისი კიდევ უფრო გაჭიანურება გაუგებარია. ელჩები, რომლებიც ამჟამად დაინიშნენ, კიდევ 1-2 თვის განმავლობაში ვერ შეუდგებიან თავიანთ საქმიანობას.*

*პრობლემას ისიც ამძაფრებს, რომ ჩვენ არ გვყავს ელჩები ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ქვეყნებში, როგორიცაა გაერო, გერმანია და თუნდაც დიდი ბრიტანეთი. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, სადაც ჯერ კიდევ წარდგენილი არ არის ელჩის კანდიდატურა, 7-8 თვის განმავლობაში ელჩი არ გვეყოლება. ეს მაშინ, როცა საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ საქართველოს პრეზიდენტს 17 ქვეყანაში ელჩის შეცვლის თხოვნით ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში მიმართა.*

*პირველ ეტაპზე, პრეზიდენტმა საკანონმდებლო ორგანოს 9 ელჩის (ბელგიაში ელჩი და ევროკავშირში საქართველოს წარმომადგენელი — ნატო საბანაძე, უკრაინაში — მიხეილ უკლება, საფრანგეთში — ეკატერინე სირაძე-დელონე, აშშ-ში — არჩილ გეგეშიძე, უნგრეთში — ზაზა კანდელაკი, ავსტრიაში — კონსტანტინე ზალდასტანიშვილი, ლატვიაში — თეიმურაზ ჯანჯალია, ჩეხეთში — ზაალ გოგსაძე, იტალიაში — კარლო სიხარულიძე) კანდიდატურა წარუდგინა, რომლებიც პარლამენტმა 20 თებერვალს დაამტკიცა.*

# პრეზიდენტის დიპლომატიური აბსურდი



სულ ახლახან კი პრეზიდენტმა პარლამენტს წარუდგინა კიდევ ხუთი დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელთა კანდიდატურები: **ხათუნა სალუქვაძე** — ლიტვის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე, **ზურაბ პატარაძე** — ყაზახეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე, **ირაკლი კოპლატაძე** — თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე, **თეიმურაზ შარაშენიძე** — აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე და **კონსტანტინე კორკელია** — ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელის თანამდებობაზე.

რაც შეეხება სააკაშვილის მიერ თავის დროზე დანიშნულ ელჩებს, ისინი პოლიტიკურ მისიას რომ უფრო ასრულებდნენ, ეს კოტე გაბაშვილის განცხადებამაც ცხადყო. **საქართველოს ყოფილი ელჩი იტალიაში, რომელიც, ამავდროულად, „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი აქტიური სახის გოკა გაბაშვილის მამაა, თანამდებობიდან წასვლის მიზეზად ქვეყნის საგარეო კურსის დაუბალანსებლობას ასახელებს და რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის მოტივს იშველიებს, რომლის მიმართაც სკეპტიციზმს გამოხატავს. თანაც, განმარტავს, რომ რთულია ისეთი დავალებების შესრულება, რომელსაც არ ეთანხმები და არ გჯერა.**

ჩვენ დავინტერესდით, პოლიტიკური დავალებების გარდა, ასრულებდა თუ არა კოტე გაბაშვილი დიპლომატის მოვალეობას, ასევე, — რატომ აჭიანურებს პრეზიდენტი ელჩების დანიშვნას და სადამდე უნდა ვიყოთ ელჩების მოვალეობის შემსრულებლების, ანუ დროებითი რწმუნებულების ამარა?! ამ საკითხებზე For.ge ყოფილ დიპლომატებსა და პოლიტიკოსებს ესაუბრა.

ასევე, შევეცადეთ, გაგვერკვია, რატომ არ თანხმდება სააკაშვილი ბულგარეთში, ჩინეთში, გაერთიანებულ სამეფოში, გერმანიასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შეთავაზებული ელჩების დანიშვნას?!

უკვე ცნობილია, რომ დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, ასევე, ირლანდიაში საქართველოს ელჩის პოსტზე **თედო ჯაფარიძის** კანდიდატურაა წარდგენილი, ბულგარეთში — **ზურაბ ბერიძე,** ჩინეთში — **დავით აფციაური,** გერმანიაში — **ლადო ჭანტურია,** ხოლო გაეროსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის თანამდებობაზე — **კახა იმნაძე.**

პარლამენტის ვიცე-სპიკერი ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ, ცხადია, ხანგრძლივად არ უნდა გაგრძელდეს ელჩების დანიშვნის პროცესი, რადგან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო არის მთავარი უწყება, რომელიც განსაზღვრავს და არჩევს საკადრო პოლიტიკას. პარლამენტის მიერ ელჩების დამტკიცება ამ საკადრო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. თუმცა, რა თქმა უნდა, მოქმედი პრეზიდენტი სააკაშვილი ჩართულია ამ პროცესში და სურს, თავისი „წვლილი“ შეიტანოს და ძალიან დააბრკოლოს ელჩების დანიშვნის პროცესი. ამით სააკაშვილი ცდილობს, პირობითი ხელოვნური მუხრუჭები ყველგან შექმნას.

ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ, ამავდროულად, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ინიცირებულია კანონპროექტი, რომ აღნიშნული პროცედურები გადაიხედოს და ძალიან დეტალურად იყოს გაწერილი. ამდენად, იგი იმედოვნებს, რომ ამ კანონს მალე მივიღებთ და ბევრი საკითხი მალე მოგვარდება. უბრალოდ, დროის ამბავია ყველაფერი.

რაც შეეხება ელჩობის კანდიდატურებს, ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ ახალი კანდიდატურები მნიშვნელოვანი ბიოგრაფიის მქონე ადამიანები არიან და აქცენტი კეთდება პროფესიონალ დიპლომატებზე, რომლებმაც თავიანთი საქმე იციან. მთავარი კი ის არის, რომ ეს ადამიანები პარტიული წარმომადგენლები არ არიან.

**რაც შეეხება კოტე გაბაშვილის განცხადებას, ზურაბ აბაშიძეს მიაჩნია, რომ კოტე გაბაშვილი ძალიან სუბიექტურ დამოკიდებულებას გამოხატავს. რეალურად, ის მხარეა და მისი პირადი მოსაზრებით, კოტე გაბაშვილი არც არასდროს ყოფილა ქვეყნის წარმომადგენელი.**

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გია ვოლსკის აზრით, სააკაშვილს ადვილად არაფრის დათმობა არ უნდა და ელჩების მორიგ დამტკიცებაზეც გარკვეულ პრობლემებს ქმნის. ამით სააკაშვილი რატომღაც ფიქრობს, რომ პრობლემის შექმნა — ეს არის ურთიერთობათა მიღებული ფორმა. ეს ურთიერთობა კი მაინცდამაინც კოაბიტაციურად არ გამოიყურება და საქმიან წერილზე საქმიანი პასუხის მიწერა პრობლემა არ იყო.

**„არ ვარ განწყობილი, ნაციონალებს რამე დავაბრალო, მაგრამ ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს. არ შეიძლება, ამდენ ხანს სახელმწიფო სრულფასოვანი წარმომადგენლის გარეშე დარჩეს, რადგან ეს არის ხელშეშლის გარკვეული ფორმა. რაც შეეხება კოტე გაბაშვილის განცხადებას, როგორც წესი, ისეთი დავალების მიღება, რომელიც ელჩს სახელმწიფოებრივად არ მიაჩნია, ელჩს მორალურად ავალებს, რომ ამის შესახებ განაცხადოს და გადადგეს. თუმცა რასთან დაკავშირებით ასახელებს კოტე გაბაშვილი თანამდებობიდან წასვლის მიზეზად ქვეყნის საგარეო კურსის დაუბალანსებლობას, ვერ ვხვდები. დავალება მიიღო ასეთი?! კოტე გაბაშვილი არ არის ის ადამიანი, რომელმაც უნდა შეაფასოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები. სწორედ ახლა ვკითხულობდი ბრიტანეთის, ევროპული ქვეყნების და აშშ-ის ოფიციალურ პოზიციას. ეს არის ის აუცილებლობა, რასაც და აშშ ჩვენგან ითხოვს და ამ წინადადებას გვთავაზობს“,** — აცხადებს გია ვოლსკი.

მისი თქმით, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მოგვარებით დაინტერესებულია მსოფლიო და ეს იმით არ არის განპირობებული, რომ მაინცდამაინც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკას უჭერენ მხარს. უპირველესად, დასავლეთს ამ პრობლემის მოგვარება საკუთარი პრაგმატული ინტერესებიდან გამომდინარე აინტერესებს, კავკასიაში უსაფრთხო ატმოსფეროს შექმნის მიზნით იძლევიან ასეთ რეკომენდაციებს.

საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაერთიანების თემაც რომ გავიხსენოთ, გია ვოლსკი აცხადებს, რომ სწორედ საერთაშორისო თანამეგობრობამ დასვა ამის აუცილებლობა. ამდენად, რუსეთი აუცილებლად უნდა იყოს ჩართული მოლაპარაკებების გარკვეულ ფორმატში.

**„ნაციონალური მოძრაობა“ მიეჩვია, რომ საკუთარი პარტიული ინტერესები წინა პლანზე ყოფილიყო წამოწეული. ამის მრავალი მაგალითი გვაქვს, როდესაც ელჩები, განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდში დარბოდნენ და „ქართული ოცნების“ მადისკრედიტირებელ მასალას არიგებდნენ დელეგაციებში. ახლაც დიპლომატების არსებობა კონკრეტულ ქვეყანაში არის ერთ-ერთი ბერკეტი, რომლითაც „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს იმის დადასტურებას, რომ მას გავლენა ისევ შემორჩა. ეს კი სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ მუშაობს“,** — აცხადებს გია ვოლსკი.

ჩვენი შეკითხვის საპასუხოდ, თუ რატომ აჭიანურებს პრეზიდენტი ელჩების დამტკიცებას, საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით დარჩიაშვილი აცხადებს, რომ მთავარი ამოცანაა, შევჯერდეთ კონსტიტუციაზე, საერთო სასამართლოებზე და საზოგადოებრივ მაუწყებელზე. სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი ინსტიტუტები. ასევე, უნდა მოვრჩეთ იმ სურათის შექმნას, როცა უნივერსიტეტის ავტონომიასაც დაემუქრა საშიშროება. ამდენად, დავით დარჩიაშვილის აზრით, ეს პრობლემებია გადასაწყვეტი და პრეზიდენტი მაქსიმალურად უფრო ამ საკითხებშია ჩართული.

რაც შეეხება დიპლომატების დანიშვნის დაბრკოლების მიზეზებს, დავით დარჩიაშვილს არ მიაჩნია, რაიმე განსაკუთრებულად სკანდალური ხდებოდეს. მეტიც, მისი აზრით, დიპლომატიური კორპუსი, დიპლომატიური მისიები და მათი მოვალეობის შემსრულებლები მუშაობენ და მომავალშიც დაინიშნებიან ელჩები.

შეეძლო თუ არა პრეზიდენტს, სურვილის შემთხვევაში, ბევრად უფრო დაჩქარებულად განეხილა ელჩების დანიშვნის საკითხი, ამასთან დაკავშირებითაც დავით დარჩიაშვილი აცხადებს, რომ სამუშაო ვითარებაში უნდა ემსჯელათ ამის შესახებ და საგარეო საქმეთა სამინისტროს არ უნდა ეთაკილებოდეს პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან მჭიდრო თანამშრომლობითი ურთიერთობები.

**მარიამ ლოლაშვილი**

## ალიან-ჩალიანი

### ალექსანდრე ანქვაბი – ქართულ ეკლესიასთან სულიერი კავშირი აღარ აღსდგება

**აფხაზური მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა სოჭში სასულიერო პირებთან შეხვედრაზე განაცხადა. მათი ინფორმაციით, ამ შეხვედრას ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის მიტროპოლიტი, მეუფე სერაფიმე, ასევე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მიტროპოლიტი ილარიონი და სხვები ესწრებოდნენ.**

**შეხვედრაზე დე ფაქტო პრეზიდენტმა ანქვაბმა განაცხადა, რომ სულიერი კავშირი აფხაზეთის მართლმადიდებელ სასულიერო პირებს, აფხაზ ხალხსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დიდი ხანია დაიკარგა და აღარ აღსდგება.**

**მეუფე სერაფიმემ კი ხაზი გაუსვა სამშვიდობო ღვთისმსახურების აუცილებლობას, რომელიც მიმართულია ხალხებს შორის მეგობრობის გამყარებისკენ.**

**როგორც რუსეთის საპატრიაქროს წარმომადგენელმა აღნიშნა, ის დარწმუნებულია, რომ პრობლემების გადაწყვეტის გზა შეიძლება მოიძებნოს მხოლოდ ეკლესიური კანონების დაცვით.**

### ოსურმა მხარემ დაკავებული მოზარდი გაათავისუფლა

**ოსურმა მხარემ სამი დღის წინ დაკავებული 18 წლის უშანგი დოთიაშვილი გაათავისუფლა. როგორც „ინტერპრესნიუსის“ რეგიონული კორესპონდენტი იტყობინება, ე.წ. საზღვრისპირა სოფლის მკვიდრი ახალგაზრდა, რუსმა მესაზღვრეებმა საცხოვრებელი სახლიდან ასიოდე მეტრის დაშორებით დააკავეს. სამდღიანი მოლაპარაკებების შედეგად, ოსურმა მხარემ ერგნეთის საგუშაგოზე დოთიაშვილი ქართველ სამართალდამცავებს გადასცა.**

**გათავისუფლებულის თქმით, რუსმა მესაზღვრეებმა იგი ჯერ ღრომის მილიციაში, შემდეგ კი ცხინვალში გადაიყვანეს.**

**უშანგი დოთიაშვილის განცხადებით, მასზე ცხინვალის საპატიმროში არანაირი ზეწოლა არ განხორციელებულა.**

**ოსურ მხარესთან მოლაპარაკებებს შიდა ქართლის სამხარეო პოლიცია და შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი აწარმოებდა. აღნიშნული მოლაპარაკებების საფუძველზე, ოსმა ე.წ. ძალოვანებმა ქართულ მხარეს კიდევ ორი დაკავებული — შუბითიძე და ჯეირანაშვილი გადმოსცეს.**

### დევნილებისთვის უფასო ინგლისური

**ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ „კემბრიჯ ჰაუზთან“ თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. შეთანხმების მიხედვით, დასავლეთ ევროპული ენების ცენტრი „კემბრიჯ ჰაუზი“ თბილისში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ აბიტურიენტებს (თვეში 5 მოსწავლე) ინგლისურ ენას უფასოდ ასწავლის.**

**მემორანდუმის საფუძველზე მიღებული მოსწავლის ოჯახის წევრები 20%-იანი ფასდაკლებითაც ისარგებლებენ.**

**ცენტრი აბიტურიენტებს ტესტირების საფუძველზე მიიღებს. ტესტირება 15 აპრილიდან დაიწყება და თვის ბოლომდე გაგრძელდება.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ჟურნალისტური გამოძიება

***გვინდა, გვჯეროდეს, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა გულწრფელად გმობს ნაციონალი სააკაშვილისტების მიერ 2004-2012 წლებში ქვეყნის წინააღმდეგ ჩადენილ ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს.***

***აგრეთვე, გვსურს გვჯეროდეს, რომ ქვეყნის პარლამენტის და ამჟამინდელი მთავრობის „მეოცნებე" წევრებს სურთ არა მარტო კანონიერი პასუხი მოსთხოვონ ყოველ დამნაშავეს, არამედ უკეთესობისკენ კარდინალურად შეცვალონ ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური მდგომარეობა, გააძლიერონ ერის სულიერება, ქვეყანაში დაამკვიდრონ მომავლის ჯანსაღი რწმენა, ურთიერთსიყვარული და პატივისცემა...***

***ამ დროს კი ხელისუფლება გაუმართლებელ ლოიალობას იჩენს გარკვეულ პირთა მიმართ, რომელთა შორის არიან მ.სააკაშვილი, ვ.მერაბიშვილი, გ.უგულავა და ა.შ. და ეს მაშინ, როცა საკითხი ეხება ამ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.***

***მოსახლეობის უმრავლესობისთვის კი აღნიშნული განპირობებულია ე.წ. „კოჰაბიტაციით", რაც არ ნიშნავს დანაშაულის მიჩქმალვას ან პატიებას. ეს კატეგორიულად მიუღებელია, რადგან ნებისმიერმა ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხი უნდა აგოს კანონის წინაშე.***

# თუმცა კონსტიტუცია კრძალავდა და კრძალავს...

## რატომ გაასაჩუქრა სააკაშვილმა სახელმწიფოს ქონება?

ჩვენი ჟურნალისტური გამოძიების თემა სწორედ ამას ეხება. კერძოდ, სააკაშვილის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს, რომლებიც უკავშირდებიან 2007 წლამდე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ენერგოობიექტების გასხვისებას, რამაც უდიდესი ზარალი და ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას. ამ გასხვისებული ენერგოობიექტების საბაზრო ღირებულება იმ დროისთვის რამდენიმე აშშ მილიარდი დოლარი იყო.

ამ დროს, სწორედ პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, ეს ენერგოობიექტები ფაქტობრივად უსასყიდლოდ გადაეცა უცხოურ კომპანიას.

აღნიშნულის შესახებ ამა წლის 25 თებერვალს წერილობით (დეტალურად) ვაცნობეთ ფინანსთა მინისტრს ნოდარ ხადურს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 და 101-ე მუხლების მოთხოვნების შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში შემავალ ქვედანაყოფს ჩვენი წერილობითი მიმართვის საფუძველზე სავალდებულოდ უნდა დაეწყო გამოძიება.

სინამდვილეში კი გამოძიება არ დაწყებულა, რადგან მათი თქმით, **„გამოძიების დაწყება ნაადრევია..."**

აღვნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ 2007 წელს ჩვენმა სააგენტომ ჩაატარა ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც დაუკავშირდა იმავე წლის 2 თებერვალს სააკაშვილის მიერ გამოცემულ № 35 განკარგულებას, რომელმაც დააკანონა ხსენებული ენერგოობიექტების გასხვისება-გაჩუქება.

ჩვენი ჟურნალისტური გამოძიების შედეგი დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში", საკითხთან დაკავშირებით წერილით მივმართეთ გენერალურ პროკურორს ზ.ადეიშვილს. ამ უკანასკნელმა არანაირი რეაგირება არ მოახდინა, ანუ ბოროტად გამოიყენა თავისი თანამდებობრივი უფლებამოვალეობა, რის შედეგად მიიჩქმალა უმძიმესი დანაშაული, რამაც განაპირობა ის, რომ თავად გახდა იმავე დანაშაულის ერთ-ერთი მთავარი თანამონაწილე.

### დანაშაულის ფაბულა

**2006 წელს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ (მინისტრი — გ.არველაძე) ჩაატარა ერთი და იგივე დასახელების ენერგოობიექტების (6 ჰესი და ორი ენერგოსადისტრიბუციო კომპანია) აქტივთა გასხვისების ორი საერთაშორისო ტენდერი.**

ამ ტენდერებში მონაწილეობა მიიღო ერთადერთმა იურიდიულმა პირმა — „ენერგოპრომ", რომელსაც ხელისუფლება ოფიციალურად აცხადებდა ჩეხეთის საწარმო-კომერციულ იურიდიულ პირად.

პირველ ტენდერში სწორედ ამ ორგანიზაციამ გაიმარჯვა და მანვე დაასახელა ამ ობიექტების შესასყიდი ფასი — 328 მილიონი აშშ დოლარი.

**ეს თანხა, იმ დროისთვის მოქმედი კანონის მიხედვით, მას უნდა გადაეხადა ტენდერის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში, მაგრამ მას იგი არ გადაუხდია...**

**ამის გამო, იმავე კანონის საფუძველზე, ტენდერის ორგანიზატორს ბათილად უნდა ეცნო „ენერგოპროს" გამარჯვება, რაც მას არ გაუკეთებია.**

სანაცვლოდ მან ხსენებულ ობიექტებთან დაკავშირებით მოკლე დროში გამოაცხადა რიგით მეორე ტენდერი, რომელშიც, კანონის საფუძველზე, **მას ამ ტენდერის მონაწილედ „ენერგოპრო" არ უნდა დაეშვა,** მაგრამ მოხდა საპირისპირო და **მეორე ტენდერშიც გამარჯვებულად ისევ „ენერგოპრო" გამოაცხადა,** რომელმაც შესასყიდი ობიექტების ღირებულება — 127 მილიონი აშშ დოლარი დაასახელა.

**„ენერგოპრომ" არც ამჯერად გადაიხადა თანხა, რის გამოც, ორგანიზატორს უთუოდ უნდა გაებათილებინა უკვე მეორე ტენდერის შედეგებიც, მაგრამ...**

2007 წლის 2 თებერვალს მ.სააკაშვილმა გამოსცა № 35 ბრძანებულება „სახელმწიფო ენერგოობიექტების აქტივების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ". დასახელებული არიან — „ლაჯანურჰესი", „რიონჰესი", „გუმათიჰესი", „შაორიჰესი", „ძევრულაჰესი" და „აწიჰესი", ანუ სწორედ ის ენერგოობიექტები, რომელთა გასხვისებასთან დაკავშირებით ჩატარდა ორი ტენდერი.

**მ.სააკაშვილის იმავე განკარგულებით ამ ჰესების აქტივები პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 73,5 მილიონ აშშ დოლარად გადაეცა... „ენერგოპროს".** განკარგულებაში მოყვანილი ენერგოობიექტების პრივატიზაციის მიზნით ზემოთ მოყვანილი თანხის გადახდასთან დაკავშირებით „ენერგოპროს" მიეცა საშუალება, დაეფარა ის ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს ერთი წლის განმავლობაში.

„ენერგოპრო" თავის მიერ შესყიდული ობიექტების ექსპლუატაციას შეუდგა ამ განკარგულების ძალაში შესვლისთანავე.

აღსანიშნავია, რომ მის მიერ შესყიდული ყველა ენერგოობიექტი ნორმალურად მოქმედი საწარმო იყო, რისთვისაც 2004-2005 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა რამდენიმე ათეული მილიონი ლარი.

**და იმ ერთ წელიწადში, რაც „ენერგოპრომ" ეს ობიექტები ამუშავა, მიღებული მოგება შეადგენდა ასობით მილიონ ლარს.** ეს კი მისცემდა მას საშუალებას, სრულად დაეფარა ხსენებულ განკარგულებაში მოყვანილი ენერგოობიექტების ღირებულების თანხა. თუმცა, ჩვენთვის უცნობია, ამის შემდეგ მაინც გადაიხადა თუ არა მან ეს თანხა.

**თუმცა, რომც გადაეხადა, სააკაშვილის მეშვეობით რეალურად მოხდა ამ ობიექტების არა გასხვისება, არამედ გაჩუქება, რაც უდავოა.**

იმავე განკარგულებით „ენერგოპროს" სიმბოლურ ფასად (ერთი ათასი აშშ დოლარი) მიეყიდა იმ დროისთვის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ხსენებული ექვსი ჰესის, „საქართველოს გაერთიანებული ენერგოსადისტრიბუციო კომპანიის" და შპს „აჭარა ენერგოს" აქტივები, **რომლებიც** (სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობები, მიწები და ა.შ.) **ხსენებული ტენდერების ჩატარების დროს გასხვისებული ობიექტების აქტივებში არ ირიცხებოდნენ.**

განკარგულების გამოცემისას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შეფასებით, **დამატებით გასაჩუქრებული უძრავი ქონების საბალანსო ღირებულება რამდენიმე ასობით მილიონი ლარი იყო.**

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ „ენერგოპრომისთვის" „გაჩუქებული" ენერგოობიექტების მიერ გამომუშავებული პროდუქცია — ელექტროენერგია საქართველოში სარგებლობდა და დღესაც სარგებლობს 100-პროცენტიანი მოთხოვნილებით.

მიხეილ სააკაშვილი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი გიორგი არველაძე მასმედიაში ოფიციალურად აცხადებდნენ, რომ სს „ენერგოპრო" არის ჩეხეთის იურიდიული პირი. სინამდვილეში კი ის იყო და დღესაც არის რუსეთის იურიდიული პირი, რომელსაც ქ.პრაღაში იმ დროს ჰქონდა და დღესაც აქვს თავისი ფილიალი-წარმომადგენლობა.

შეგახსენებთ, რომ იმ დროის ხელისუფლება და სწორედ მ.სააკაშვილი, ერთი მხრივ, ყველა დონეზე ლანძღავდა რუსეთის ხელისუფლებას, მეორე მხრივ კი, სწორედ მისი წყალობით რუსეთის მხარემ რეალურად საჩუქრად მიიღო საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ენერგეტიკის (სტრატეგიული დარგი) ობიექტები, რომელიც მრავალი მილიარდი აშშ დოლარი ღირდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რატომ ასახელებდა მ.სააკაშვილის ხელისუფლება „ენერგოპრომს" „ენერგოპროდ". **მას არ სურდა, საქართველოს მოსახლეობისთვის პირდაპირ ეთქვა, რომ ზემოთ დასახელებული საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ენერგოობიექტები საჩუქრად გადაეცა „მტერს"** (მათი პირადი შეფასებით) **— რუსეთის სახელმწიფოს.**

აღსანიშნავია, რომ ეს იყო სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ენერგოობიექტების გასხვისება, რასაც ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია დღემდე კრძალავს.

**მკითხველმა თავად განსაჯოს, რა გამოიძია ჩვენმა სააგენტომ. აქვე გაცნობებთ, რომ საკითხთან დაკავშირებით დამატებით მივმართეთ ფინანსთა მინისტრს ნოდარ ხადურს მოთხოვნით — დაიწყოს გამოძიება.**



**ვაჟა კელეურიძე,**
**თენგიზ ჩხიკვაძე,**
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო
„დრო და სივრცე"

ალიან-ჩალიანი

### სასწრაფო-სამედიცინო სამსახურს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

**როგორც „ინტერპრესნიუსს" თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავამ განუცხადა, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურს შალვა ბრაჭული უხელმძღვანელებს, რომელსაც შესაბამისი გამოცდილება, სამედიცინო და იურიდიული განათლება აქვს.**

**შალვა ბრაჭულთან ერთად, აღნიშნულ სამსახურში დროებითი მმართველობითი საბჭოც იმუშავებს.**

**მამუკა ქაცარავას ინფორმაციით, სასწრაფო დახმარების უკვე ყოფილი ხელმძღვანელი კახა ჩიხრაძე უწყებაში დარჩენას არ აპირებს და კერძო ბიზნესს გაუძღვება.**

### თელავის უნივერსიტეტში პროკურატურა შევიდა

**როგორც „ინტერპრესნიუსის" რეგიონული კორესპონდენტი იუწყება, სამართალდამცავები უმაღლეს სასწავლებელში ფინანსურ ოპერაციებს სწავლობენ. კახეთის საოლქო პროკურატურაში აცხადებენ, რომ გამოძიება უნივერსიტეტიდან შესული განცხადებების საფუძველზე დაიწყო. სასწავლებლიდან ამოღებულია ფინანსური დოკუმენტაცია.**

**თელავის უნივერსიტეტის პრორექტორი დავით მახაშვილი უმაღლეს სასწავლებელში დაწყებულ გამოძიებას პოლიტიკურ შეფასებას აძლევს და საპარლამენტო არჩევნების შემდეგ უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების გაგრძელებად მიიჩნევს.**

### თელავში მაღალტექნოლოგიური საავადმყოფო გაიხსნა

**დაწესებულება უახლესი აპარატურით არის აღჭურვილი და საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება.**

**რეფერალური საავადმყოფო გათვლილია 70 საწოლზე და დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური მედპერსონალით, კლინიკაში დასაქმებულია 300-ზე მეტი ადგილობრივი და მოწვეული სპეციალისტი თბილისიდან.**

**ახლადგახსნილ თელავის რეფერალურ საავადმყოფოში ადგილობრივი მოსახლეობისათვის ქალაქშივე ხდება ხელმისაწვდომი ჰოსპიტალური, ამბულატორიული და პრე-ჰოსპიტალური სერვისების მიღება კომფორტულ და თანამედროვე ტიპის პალატებსა და საკონსულტაციო კაბინეტებში.**

**ახლადგახსნილი საავადმყოფო მომავალ მშობლებს სთავაზობს სამეანო გინეკოლოგიურ სრულ პაკეტს, კახეთში მცხოვრებ მშობიარე ქალბატონებს საშუალება ექნებათ რეგიონიდან გაუსვლელად მიიღონ მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება პროფესორ-გინეკოლოგის ლევან მაყაშვილისა და თბილისიდან მოწვეული სპეციალისტებისგან.**

**თელავის რეფერალური საავადმყოფო გახსნის დღესთან დაკავშირებით პირველ დღეს უფასოდ, ხოლო შემდეგი ერთი კვირის განმავლობაში 50%-იანი ფასდაკლებით ადგილობრივ მოსახლეობას სთავაზობს სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურებას — მშობიარობას, ექოსკოპიას, ციფრულ რენტგენს და ა.შ. რეფერალურ საავადმყოფოში 8 მლნ. ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## მგელი არ მოშლის მგლობასა

გვინდა, საქართველოს საზოგადოებას ვაუწყოთ შემდეგი:

1992 წლიდან აჭარაში მიმდინარეობს გარედან პროვოცირებული შეუქცევადი ისლამიზაციის პროცესი, რომელშიც ჩვენი სახელმწიფო (მთავრობა) უცნაური ჩაურევლობის პოლიტიკას ატარებს. საეჭვო რეპუტაციის თურქი და არაბი სასულიერო „მისიონერები" დაუბრკოლებლად და უკონტროლოდ აშენებენ მუსლიმანურ სალოცავებსა (მეჩეთებს) და დაწყებით სასულიერო სასწავლებლებს (მედრესეებს). ამ მისიონერებს პარტნიორობას უწევენ, ასევე, საეჭვო რეპუტაციის ადგილობრივი ცალკეული მორწმუნეები და სახელმწიფო მოხელეები. ისლამური საკულტო და საგანმანათლებლო ნაგებობების მშენებლობის პროცესში მიმდინარეობს მასში მონაწილე ყველა მხარის მიერ საეჭვო წარმოშობის „ფილანტროფიული" ფულის გარეცხვა, ჩამოწერა და მითვისება.

ამ გზით მხოლოდ 2004 წლამდე პერიოდში აჭარის უმრავლეს სოფლებსა და დაბებში აშენდა და ამოქმედდა 70-მდე ახალი მეჩეთი, ასევე, შეკეთდა ამაზე მეტი მეჩეთი ახალი მინარეთების მიშენებით. ეს წარმოუდგენლად ბევრი სალოცავია აჭარაში ისლამის აქტიურ აღმსარებელთა რაოდენობასთან შედარებით. იმავე ეტაპზე, მთიანი აჭარის ათასობით ახალგაზრდა ისლამის შესასწავლად გაიგზავნა თურქეთსა და არაბულ ქვეყნებში, შესაბამისად, მომზადდა ახალი სასულიერო კადრები მეჩეთების ამოქმედებისა და მოსახლეობის ისლამიზაციის გაღრმავების მიზნით.

ეს იმ პერიოდში მოხდა, როცა ქართული სახელმწიფო აჭარის ტერიტორიაზე სრულყოფილად ვერ ახორციელებდა თავის ხელისუფლებას და რეგიონის თავკერძი ლიდერი ასლან აბაშიძე თავს უფლებას აძლევდა, სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი მეზობელი სახელმწიფოს საამებელი პროისლამური პოლიტიკა გაეტარებინა, რათა მას შიდასახელმწიფოებრივ პოლიტიკურ ჭიდილში თურქეთის მხარდაჭერა ჰქონოდა.

ვითარება სასიკეთოდ არ შეცვლილა არც 2004 წლიდან, ასლან აბაშიძის ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ, ცხრა წლის განმავლობაშიც. პირიქით, უცხოური (თურქულ-არაბული) ინვესტიციების მოზიდვის მოტივით, კიდევ უფრო გაძლიერდა გარედან პროვოცირებული ისლამიზაციის პროცესი. ამჯერად „ნაციონალების" მთავრობა მას პირდაპირ ახალისებდა. საქმეში აშკარად გამოიკვეთა თურქების როლი და ერთნაირად, აჭარის მთასა და ბარში, ქალაქებში, აგრეთვე, აჭარის ფარგლებს გარეთ აჭარლებით განსახლებულ რეგიონებში, გაიშალა ისლამისტური სასულიერო სასწავლებლების, არა მარტო მედრესეების, არამედ ინტერნატების და პანსიონატების გახსნა-მშენებლობა, ახალგაზრდა კადრების უპირატესად ჯერ ადგილზე მომზადება და შემდეგ, კვალიფიკაციის ასამაღლებლად მათი თურქეთში გაგზავნა. სასწავლებლები გაიხსნა როგორც ვაჟებისათვის, ასევე გოგონებისათვის. ამ სასწავლებლების მოსწავლეთა კონტინგენტის წყარო გახდა ძირითადად ღარიბი ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდები. არასრული მონაცემებით, 2010 წლის მდგომარეობით აჭარაში მოქმედებს 51 მედრესე, 9 მედრესე-პანსიონატი, 22 სეზონური მეჩეთი (იალაღებზე). საკუთრივ ბათუმში მოქმედებს სამი ვაჟთა, ორი ქალთა პანსიონატი და ერთიც ისლამური ბავშვთა ბაღი.

# სახიფათო პროცესი გრძელდება!



საგანგაშო ხასიათი მიიღო სკოლის დამამთავრებელი კლასებიდან მოსწავლეების, განსაკუთრებით, გოგონების გამოყვანის პრაქტიკამ ისლამისტურ სასულიერო სასწავლებლებში შეყვანით ან უამისოდ. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი საჯარო სკოლის მასწავლებელი, დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, პარალელურად მუშაობს ამ სასულიერო სასწავლებლებში. მთიანი რაიონების ზოგ საჯარო სკოლაში მოიშალა სასწავლო პროცესი. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არც ერთი მოქმედი მუსლიმანური სასულიერო სასწავლებელი, კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული არ არის. ამ სასწავლებლებში სწავლების შინაარსიც ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. აქ ზრდიან მოქალაქეებს უცხო ქვეყნის ინტერესების სულისკვეთებით და ადვილი წარმოსადგენია, თუ ამ თვალსაზრისით რას უნდა ასწავლიდნენ უცხოეთის სასულიერო სასწავლებლებში გაგზავნილ ქართველ ახალგაზრდებს.

„ნაციონალური მოძრაობის" განათლების სამინისტრო ჯიუტად არ დაინტერესებულა, თუ რა კანონმდებლობის საფუძველზე ფუნქციონირებდა ეს სასწავლებლები, რა საგნებს, რა მსოფლმხედველობას ასწავლიდნენ იქ ბავშვებს და საბოლოოდ, სინამდვილეში რას ემსახურება ეს სასწავლებლები. შეიქმნა მოჯადოებელი წრე, სახელმწიფო საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული ორგანოები არ მუშაობენ იმ მშობლებთან, რომლებიც სიღარიბის გამო თუ გამორჩენის მიზნით შვილებს იმეტებენ ასეთი „აღზრდა-განათლებისათვის".

კრიტიკულად განწყობილმა საზოგადოებამ მთავრობას არაერთხელ სთხოვა, წესრიგი დაემყარებინა ამ სფეროში, აღეკვეთა ამ ანტიქართული სასწავლებლების საქმიანობა, მიუღებელი მსოფლმხედველობის სწავლება, მაგრამ უშედეგოდ.

აღსანიშნავია, რომ საპატრიარქომ ბევრი რამ გააკეთა აჭარის რეგიონში ისლამიზაციის პროცესის გასანეიტრალებლად. მათ შორისაა მისი მეცადინეობით და პატრონაჟით შუახევში ამოქმედებული წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი, სადაც უპირატესად რეგიონის მთიანი რაიონების ეკონომიურად შეჭირვებული ოჯახების შვილები სწავლობენ, კარგი სოციალური უზრუნველყოფით. თუმცა, ამ მხრივ საპატრიარქოს ძალისხმევა საკმარისი ვერ იქნება.

შექმნილი ვითარება მოითხოვს, გადაუდებლად შემუშავდეს და განუხრელად გატარდეს ქმედითი სახელმწიფო პოლიტიკა აჭარის რეგიონში წარმოქმნილი ამ ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი საგანმანათლებლო პრაქტიკის აღსაკვეთად და აღმოსაფხვრელად, რათა დაცულ იქნეს საქართველოს ყოველი მოქალაქის კონსტიტუციური უფლება, მიიღოს ხარისხიანი, ჩვენი მდიდარი ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციებისა და ევროპული სტანდარტების შესაბამისი განათლება.

ხელისუფლებაში უკვე 5 თვეა აღარ არის „ნაციონალური მოძრაობა", თუმცა, ისლამისტური სასულიერო სასწავლებლები კვლავაც აგრძელებენ და აფართოებენ საქმიანობას. ამავე დროს, ახალი მთავრობა აპირებს, გააგრძელოს ნაციონალების პროექტი თურქეთის მხარის მოთხოვნით ბათუმში მეჩეთის მშენებლობის თაობაზე. ეს უკანასკნელი, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, კვლავაც საქართველო-თურქეთის სახელმწიფოთაშორის შეთანხმების ფორმატში განიხილება.

ასეთ ვითარებაში საზოგადოების შეშფოთებას იწვევს ახალი ქართული ხელისუფლების უმოქმედობა აჭარის ტერიტორიაზე მუსლიმანური სასულიერო დაწესებულებათა ფუნქციონირების მიმართ. ვინ უშლის ხელს მოსახლეობის მაღალი ნდობით არჩეულ „ქართული ოცნების" ხელისუფლებას, პარლამენტსა და მთავრობას, საქართველოს განათლების სამინისტროს, აჭარის ავტონომიის მთავრობას, ავტონომიის განათლების სამინისტროს, რომ შეიმუშაონ სათანადო ღონისძიებები, შეასრულონ ხალხის დაკვეთა და წერტილი დაუსვან რეგიონის სასწავლო-საგანმანათლებლო სფეროში შექმნილ მიუღებელ პრაქტიკას? ესეც თურქულ მხარესთან შეთანხმების ფორმატში ხომ არ განიხილება?

საზოგადოება ელოდება გადამჭრელ ძალისხმევას ამ მიმართულებით და იმედოვნებს, რომ მალე გადაიდგმება დამაიმედებელი ნაბიჯებიც.

**გურამ თურმანიძე**

## ინფორმაცია

## მაია ხასიას მიერ გამოცხადებული ტენდერი გაუქმებულია

**სასჯელაღსრულების სამინისტრომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის (სად) ყოფილი ხელმძღვანელის მაია ხასიას თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში გამოცხადებული ტენდერი გააუქმა. ტენდერი გამოცხადებული იყო სატრანსპორტო საშუალებების, კერძოდ „ჯიპების" შესყიდვაზე, რისთვისაც სად-მა 126 ათასი ლარი განსაზღვრა.**



**„ინტერპრესნიუსი" ტენდერის გაუქმების გადაწყვეტილებაზე კომენტარისთვის სასჯელაღსრულების სამინისტროს დაუკავშირდა. როგორც სამინისტროს პრესსპიკერმა ირაკლი კორძაიამ განაცხადა, სამინისტროს ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ ავტოტრანსპორტზე ტენდერის გამოცხადების საჭიროება არ იყო.**

**კითხვაზე, უკავშირდება თუ არა ხასიას თანამდებობიდან გათავისუფლება აღნიშნულ ტენდერს, კორძაიამ განაცხადა, რომ „ვერანაირ კავშირს ვერ ხედავს". რაც შეეხება მაია ხასიას, იგი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ მისი თავმჯდომარეობის პერიოდში თანამედროვე აღჭურვილობის მქონე „ჯიპების" შესყიდვაზე ტენდერის გამოცხადებას ვერ იხსენებს.**

**— არ მახსოვს, რომელ ტენდერზე საუბრობთ. მე წამოსული ვარ, საქმეებში არა ვარ ჩახედული, ზეპირად რომ გიპასუხოთ, არაკვალიფიციური და არასწორი იქნება. ტენდერების გამოცხადებას სპეციალური სამსახური უზრუნველყოფდა, ამიტომ ასე ზეპირად ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ, — განაცხადა მაია ხასიამ.**

**ინტერპრესი**

## საყვედური

# ეს არამც და არამც არ უნდა ექნა!..

**სათაურშივე გაცხადებული აზრი, როგორც არაერთ სხვა ჩემს პუბლიკაციაში, რიგითი მოქალაქის, ან „ცოტა მეტი" — რიგითი კალმოსნის ენა-პირითაა გამოთქმული პრემიერ-მინისტრის მისამართით, რომელმაც მინისტრების ხელფასები ერთბაშად 4 ათასი ლარით(!) გაზარდა და 7835(!!!) გახადა (ის, რომ თურმე 15 მარტს ხელმოწერილი განკარგულება რატომღაც მხოლოდ 26 მარტს „გაჟღერდა" თუ „გამჭვირვალდა", სხვა „სიმღერიდანაა"...).**

გასაკვირზე გასაკვირია, რომ ისეთ სოციალურ ფონზე, როგორიც ახლა ამ ბედკრულ ქვეყანაში „განფენილა", როცა მიზერული ფინანსური დახმარებაც ასობით და ათასობით ოჯახს შეუწყდა (видите ли, რაღაც წაყენებულ სასაცილო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ და იმიტომ), როცა ამდენ დაწესებულებაში რამდენიმე თვის ხელფასი ვერ თუ არ მიუღიათ, როცა პენსიები და, მაგალითად, პროფესორების, მეცნიერებათა დოქტორების თვიური ანაზღაურებანი სატირლად მცირეა, როცა კიდევ ბევრი რამ ხდება სავალალო — მინისტრებს ხელფასები ორმაგზე მეტი გაუხდათ! პირადად ჩემთვის, რომელიც ჭკვიანი პრემიერისგან მოელოდა დიდკაცთა და დიდქალთა მაღალი ჯამაგირების შეკვეცასა და დაუმსახურებელი პრემიების გაუქმებას, მისი ეს გადაწყვეტილება სრული მოულოდნელობა და კიდევ ერთი იმედგაცრუება აღმოჩნდა. ისევ პირადად ჩემთვის, გაუგებარი დარჩა, თუ რაში დასჭირდა მთავრობის მეთაურს მინისტრების ამგვარი მოთაფვლა-მოქონვა...

„კიდევ ერთს" იმიტომ ვამბობ, რომ პირველი разочерование ვიგრძენი ასეთ გარემოებაში: პოსტნაცური ხანის დადგომისთანავე ბიძინა ივანიშვილმა სავსებით სწორად მოუწოდა მიხეილ სააკაშვილს, ამ ცხრაწლიან მოუცილებელ ჭირს, მოშორებისა და გადადგომისაკენ, მაგრამ ევროპელ პოლიტიკოსთა, აშშ-ელ პოლიტიკოსთა ზეწოლით იყო თუ რაღაც სხვა მიზეზებით, მალე მიაფუჩეჩა და მიივიწყა ეს მოწოდება. 20 იანვრის მერე რომ ახალ ხელისუფლებას, ახალ პარლამენტს გონივრულად, გაბედულად, საქართველოს მილიონზე მეტი მკვიდრის ხელმოწერის მოხმობა-მოვარგებით, მოსახლეობის ამოდენა ნაწილის სურვილზე არსებითი დაყრდნობით წამოეწყო გრძელოს მეფური მადის დამოკლების, ამ პერპეტუმ პრეზიდენტის იმპიჩმენტის კამპანია — ეგ იმპიჩმენტი ახლა ეგებ მოთავებულიც ყოფილიყო...

მეორე იმედგაცრუება პრემიერისგან მომივიდა კოტე კუბლაშვილთან, ნაცთა და ნაცისტთა ამ ერთ-ერთ ხელებსისხლიან ჯალათთან და უსამართლო უმაღლეს მოსამართლესთან მისი შეხვედრის შემდეგ, როცა ასე „გულამაჩუყებლად" გადაუსვა თავზე ხელი, მიეფერა და ვადის გასვლამდე სავარძლის შეურყევლობა აღუთქვა. ბატონი ბიძინას ეს ჟესტია თუ ნაბიჯიც ჩემთვის აუხსნელი დარჩა, მიუხედავად არაერთი ნაცნობისაგან მოსმენილი „ახსნა-განმარტებისა"...

და აი, იმედგაცრუებათა რიცხვი პრემიერესაგან, პირადად მე, გავისამე მინისტრთა ამნაირი ფინანსური აღზევებით, სულ ახლახან დეკლარირებულით; თან ნახეთ, როგორი, ლამის ცინიკური კომენტარები დაურთეს პირველმა ვიცე-პრემიერმა და ფინანსთა მინისტრმა (შესაბამისად, კახა კალაძემ და ნოდარ ხადურმა) მთავრობის მეთაურის ამ განკარგულებას: ნაცური ხანის მინისტრები 16 ათას ლარ ხელფასს, 26 ათას ლარ პრემიას იღებდნენ, ეს ხომ გაცილებით მეტია ახლად გამოცხადებულზე, სამაგიეროდ, ამაზე მაღლა აღარაფერს აღარ მოიხვეჭენ, აღარ მოივარგებენო და სხვა და სხვა (კახასგან, რომელიც, მგონი, საერთოდ უარს ამბობს ყოველგვარ ხელფასზე, ეს განსაკუთრებით გულსატკენია...)...

რა შეღავათია, არა?.. თქვე დალოცვილებო, მედლის ერთ მხარეზე რომ აკეთებთ აქცენტს, ორიენტირებას, „უარყოფითი" მაგალითისკენ (ნაცური ხელფასებისკენ) რომ იშვერთ ხელებს — მედალს ხომ მეორე მხარეც აქვს და დაბალ ხელფასებსაც გამოხედეთ, იმ „მეორე მხარის" მაგალითიც მოიშველიეთ, საცოდავი 150-200-ლარიანი ანაზღაურებები სადაც დაგხვდებათ ექიმებისა, პედაგოგებისა, მეცნიერებისა და სხვა „მდაბალთა" — „დასაჩაგრავთა", „მოსატაცებელთა", „მოსახვეჭელთა"... სად 16 ათასის, გინდა 26 ათასის „ჯერ" მეტობა ახლანდელ თქვენს თითქმის 8 ათასზე და სად ამ 8 ათასის „ჯერ" მეტობა 200-ზე, გინდა 250-ზე... ტარანი ხომ ისევ ანგარიშით არის!...

...რა მართალი იყო კალამკურთხეული გოგა ლეონიძის ბრძენი გმირი ციციკორე — ამ ქვეყანას ვერავინ ვერ გაასწორებსო... არ მოველოდი, ბატონო ბიძინა, მე თქვენგან ამას!..

**ბერდია ბედოიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



გთავაზობთ პოეზიის ტრფიალი ქართველი მკითხველისთვის ძვირფასი და საყვარელი პოეტის, აწ უკვე მარადისობაში დავანებული ზურაბ გორგილაძის რამდენიმე ლექსს „მისი „რჩეულიდან“.

წიგნი გამოიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივითა და მხარდაჭერით (გამომცემლობა „აჭარა“).

## სულხან-საბა

### „აჭარაში განმძარცვეს ფრიად“

არც არაკს ჰგავს და არც ზღაპარს...
დამიდგება თვალწინ მკაცრი,
ქრისტესავით ნაგვემი და ნაწამები ქართველკაცი.
ღონიანი,
ღვედიანი,
კვეთიანი სიტყვის ღმერთი,
სამრეკლო თუ ბალავარი ოშკისა და ალავერდის.
მოგიზგიზე ბუხარივით მომაცხუნებს მისი წვერი,
მისი კალმის ფრთა დიადი გუთნეულში გუგულს მიაქვს,
მესმის მისი სუნთქვა ცხელი
თუ ზარების გუგუნია.

დამიდგება თვალწინ მკაცრი,
ღვთაებრივი ბერიკაცი.
ვინც ბედდამწვარ საქართველოს ბედისათვის იქმნა ალალ,
ვინც ამიცრა სულში ვაზი
და ქურდობა დამაბრალა.
– განმძარცვესო აჭარაში... –
ჭოროხივით იხუვლე და იგუგუნე, დიდო პაპავ,
მე საავდრო ღრუბელივით დაძენძილი ვიყავ მაშინ
და მიზგითი მიბნელებდა ხატის ღიმილს, ქოხის ლამპარს.
ეს ამბავი არ ჰგავს ზღაპარს...
წინაპართა ძვლების ფერფლი გავატანე ნიავს განა?!
მე გაგქურდე, სულხან-საბავ,
რომ დამეცვა „იავნანა“,
რომ დამეცვა „ვარდონანა“ და ლეჩაქი ქართველ დედის,
შენს ხურჯინთან მომყვა მაშინ
სუნი ხმლის და სუნი დენთის,
დავივიწყე მაშინ ღმერთიც
და სირცხვილიც დავივიწყე,
ქართველობას, შე ღმერთკაცო,
ამ ქურდობის შემდეგ ვიწყებ.

ტრიალებდა სისხლი, ბუღი და
მარჯობდნენ სულში ისლამს,
სწორედ მაშინ მოგვპარდი და, –
წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“
მოგვპარდი და გამოგტაცე, შევერიე მწუხრის ჭალებს,
სიბრძნე მამულს დავურიგე და სიცრუე დღემდე ვმალე.
ბედბღღვიალა, საქართველოვ!
დე, იცოდე, რომ ვარ ქურდი,
რომ მოვპარე სულხან-საბას თავის სიტყვის იაგუნდი,
რომ მოვპარე სულხან-საბას აუწყავი მარგალიტი,
რომ სხვებს ეგრძნოთ და
ეტირათ ეს უღმერთო მაგალითი.
რომ დღეისთვის მეთქვა რიხით,
სისხლით, ხორცით ქართველი ვარ,
რომ საკუთარ მნათედ დავთქვი ბედისაგან გათელილმა, –
და წასულმა ხალხში ზღაპრად
დათოვლილი,
დასეტყვილი,
დამეხილი სულხან-საბა.
ერთი ახლა გაიარე სვებედნიერ აჭარაში,
დაიყურსა ის ვენახი ურჯულომ რომ აჭრა მაშინ.
და ხარდანზე ხავერდივით ნაწნავების არის მტვრევა,
მეზობელის გოგოსავით გაუშავდა თვალი მტევანს,
ქვევრში – ღვინო,
გულში შენი სიყვარული არ ეტევა.

ჩადრმოხდილი აჭარელი
შენს ზღაპრებში დაშლის დალალს,
მომესტუმრე, –
როგორ ფიქრობ, კვლავ მოგპარავ რასმეს განა?!
მიწას ტუჩი რომ დაადო, ვარდის მეტი რა აგყვება
მინდა, ხალხში გაგიტაცო, ზღაპრებად და არაკებად.

და მისმენდა სულხან-საბა,
ასე ამაყს, ასე გულდიდს,
ყელს ღილკილო შემოასკდა,
მოიჩრდილა ხელი წუთით,
მერე ერთხმად აგუგუნდა:
– შვილო!.. ჩემი მზის და ბუდის,
ალალ შენზე ქარველობა,
ალალ შენზე, რომ ხარ ქურდი,
ალალ შენზე ჩემის სიტყვის
მარგალიტიც, იაგუნდიც...
დე, გიკურთხოს მხარი მთელი
ამ მიწამ და სუფთა ცამან,
მომეხუტე,
შენ ქურდობა გაპატია სულხან-საბამ!

## კოხტა კოლხი

### პიპას, ჩემს ძმას - პიპას.

ორსანტიას,
ქარიატას,
ქაფატსა და მარტვილს
თავს წაჰყრია გაზაფხულის ჭიჭვიანი ჭვარტლი.
აბღავლებულ სანახებში, ნამუხლარში დევთა
ენგურს მიაქვს მთვარესავით სამეგრელოს სევდა.
და იქ, სადაც რუხთან რუხი ბოკვერები წვანან,
მღერის მზის და ტკივილისას ღვთაებრივი ნანა.
„არ წამოჰკრა ფეხი ამ ქვებს
და არც დააბიჯო,
ბონდოია, ნანასქუა, ბონდოია ბიჭო!“
წუთისოფლის უკმარობით, სიყვარულის ბეგრით
მიირხევა სანახებში ძვალხოშორი მეგრი.
კვალში მისდევს ოჩოპინტრე, თუთარჩელაც მისდევს,
დაფნის ჯვარზე გაუკრიათ ოჯალეში ქრისტე.
და მწვანიან წყლისპირებში წელწაფრენილ ცირებს
ხელის გულზე მზე უდევთ და საყვედური მცირე:
„კანჭა კვიცზე გადევნებას,
ჩვენ მოგვხედო გიჯობს,
ბონდოია, უღორონთიო, ბონდოია ბიჭო!“
წამით ხვიჩა ვარსკვლავები მოწკურავენ თვალებს,
მოდექი და ეგ ციგლიგა ცანგალები თვალე...
ბებერ ქვათა მხურვალება მოიჩრდილე ხელით...
მღერის ვიღაც შორეულში, ოდოიას მღერის.
როგორც წითელბატონები და მირონის წვეთა –
ტანზე აყრის საქართველოს ეს უკვდავი სევდა.
ბონდოია მიდის, მიდის...
და კოლხეთის ველზე
ოდოიას აღარ უსმენს, ოდოიას ეძებს.
და მე მესმის,
და მე ვიცი,
და უღმერთოდ მჯერა,
როგორც ნისლში კვალარეულ ხვიჩასა და ჩელას,
აქ, კოლხეთის ბინდბუნდებში,
მტერს ჩქამიც რომ დაღავს,
ბონდოია „ოდოიას“ იპოვნის და ნახავს.

ზურაბ გორგილაძე

# რამდენიმე ლექსი „რჩეულიდან“

## წარსულის ქრონიკა

– ჰე, ჰეი, მეციხოვნევ!..
– აქა ვარ, ბატონო.
– არ მოსთრევს რჯულძაღლი?
– არ მოსთრევს, ბატონო.
– ეგრემც, ეგრემც, ღმერთმა გიპატრონოს.

ბარბაცებს სასახლე, ხორხოცებს ჩარდახი,
ქეიფობს თავადი, ლხინი აქვს მხარდაღლილს.
გაისმის დარბაზში „ამინ“ და „მაშალლა“.
ფარეშებს დროშებად მიმოაქვთ მაშხალა.
გორავენ რუმბები და დათვის სისხლებით
ყანწი თუ ფაშვები თანაბრად ივსება.
კურატი მარილის ლოდზეა დაბმული,
ღუდღუდებს მაყალი, შიშხინებს შამფური.
და სეფექალწულებს უსამნოდ ულევი
შემოაქვთ მტევნები და ბროწეულები.
შებმია ერთმანეთს ხარშაკის ბუღივით
სპარსული კრიახი, ქართული ქუხილი.

ის ისპაჰანიდან ახლახან დაბრუნდა,
კახეთში სხვა მზე და ბორბალი დაბრუნდა.
ზიარი რძითა და ძუძუთი გაზრდილი
ხორცი ხორცთაგანი აჰკაფა ვაზივით.
ლეშით და ყორნებით მოჰფინა სოფელი,
თმებით ათრევინა შობილმა მშობელი.
ულვაშზე ტორები ღიმილით დაისვა,
ძალუა თავისი დიაცად დაისვა.
და ისპაჰანისკენ სისხლიან სახრეთი
გადენა, გარეკა, გალალა კახეთი.
ქეიფობს თავადი, ლხინი აქვს მხარდაღლილს,
ხორხოცებს, ხირხიცებს, კარკაცებს ჩარდახი.
უკვე მბრძანებელი, გვირგვინის პატრონი,
მაშრიყსაც, მაღრიბსაც მასპინძლობს ბატონი.
სასმელს არ აწყურებს, ჭამადს არ აშიებს
ყიზჩაღის, ყაჩაღის, იუდას ნაშიერს.
შებმია ერთმანეთს უდაბნოს ბუღივით
სპარსული კრიახი, ქართული ქუხილი.

– ჰე, ჰეი, მეციხოვნევ!..
– აქა ვარ, ბატონო.
– არ მოსთრევს რჯულძაღლი?!
– არ მოსთრევს, ბატონო,
– ეგრემც, ეგრემც, – ღმერთმა გიპატრონოს!

## უმღერებელი მუხამბაზი

ჩემი მძვინვარე მუხამბაზი არ იმღერება!..
ამ დუდუკებმა რა იღონონ, ან იმ ხელებმა,
ვერც გულს მოიფხან,
ვერც იბღავლებ,
ვერც იხარხარებ,
განტოტვილი ვარ, გაფანტული ცხრაჯერ ცხრა მხარეს,
სად არ დამჩეხეს, სად არ დამკლეს, სად არ დამყარეს...
ჩემი მძვინვარე მუხამბაზი არ იმღერება!..
ტაო-კლარჯეთის ბოკვერი ვარ ბღეზი ბეწვებით,
საქართველოში ქართველობას არ ვიხვეწები,
მიყვარს ზვავების და ლოდების გულზე ჯახება,
მიყვარს ამ მთებში გავარდნა და გაყაჩაღება,
ჩემს ხევხუვებში ძველებურად ქუხს მაჭახელა,
ტაო-კლარჯეთის ბოკვერი ვარ ბღეზი ბეწვებით!..
ღმერთებთან ღრეობს საქართველოს ცა, – მინანქარი!
ფუთიან ტორებს მხარზე მაფშვნის ჩემი ამქარი,
ტივზე ტორტმანებს საზანდარი, – შხივის შამფური,
ბესიკის ჯამში ანას ბადაგს ჩააქვს ჩქაფუნი,
ირმების ბღავილს მოაქვს ამბორიც, მოაქვს ქაფურიც...
ღმერთებთან ღრეობს საქართველოს ცა, – მინანქარი!..
მე სხვა სასწაულს სამყაროში ვერ მივაგენი,
დასაკვდომელი დარდუბალით დამღრღნის ბაგენი,
ლამის ბაგენი უბადაგო დაგვამ დალილოს,
მომეცით ჯამი! –
საყვარლის ცრემლში
მე ანგელოზებს ფეხი უნდა ჩავაბანინო.
ჩემი მძვინვარე მუხამბაზი არ იმღერება,
ამ დუდუკებმა რა იღონონ, ან იმ ხელებმა,
ვერც გულს მოიფხან,
ვერც იბღავლებ,
ვერც იხარხარებ,
განტოტვილი ვარ, გაფანტული ცხრაჯერ ცხრა მხარეს,
მე რასაც ვტირი, არასოდეს არ იმღერება!..

## სულზე მისასწრები წერილი

ბაბუას ცხვირ-პირში მიაფუტე, ნენესთან იღლიები იფხანე,
მამა კედელზე მიაყუდე,– ფულიო! – დათვსავით იბღავლე.

დაბანგულ ფიჭვნარს მიაშურე, გადი პლაჟზე და იანცე,
ცხელ-ცხელი კენჭებით დაუბწკინე გრილ-გრილი ძუძუები დიაცებს.

უარი სულ არ გაგიკვირდეს, უარით ვმაგრდებით კაცები,
მხარზე ხელჩანთა გადიკიდე, გასურნელებული საცვლებით.

მერე „ინტურისტს“ მიაკითხე, ნაღდი პურ-მარილი დაყარე,
სტუმარი იმდენი აკისკისე, შემოღამებამდე დაღალე,

ჟინი გაურიე ყველაფერში, გრძნობდე, ხედავდე თუ ეძებდე,
ხვალაც მიიღებენ აფთიაქში შარშან გამოწერილ რეცეპტებს.

ქათამი ხეზე რომ შემოჯდება, ადექ, თიკერისკენ გასწიე,
შენ ვინ დაგიწუნებს ვაჟკაცობას ან ვინ დაგიძრახავს საქციელს.

მაგრად დაუხვდი შემოტევას, ბღვერით და თვალებით
მკვესავით,
ქალი რძესავით შემოთბება და გადმოდუღდება რძესავით.

ეცადე, აქეთ არ შეგაცდინოს, ხვეწნით, მუდარით და ზახებით,
ქართველი კაცი არ შეარცხვინო, მისი ღირსება და სახელი.

ისევ ცხვირ-პირში მიაფუტე,
ისევ იღლიები იფხანე,
ისევ კედელზე მიაყუდე,
ისევ: – ფულიო! – იბღავლე.

* * *

### ბ.ჯიქიას, ჯ.ნულაიას, გ.კალანდიას

ღმერთო!
შენ რადგან მართლა ხარ ღმერთი,
დავემხე შენთან მოწყალე ფერხთით
და სათხოვარი მოგართვი ერთი:

ალბათ, ათასი ცა გამეხსნება
და ღრმად მორჩილი ვიქნები ერთობ,
ბიჭებს,
რომლებიც გამასვენებენ,
ბიჭებს, რომლებიც გამიხსენებენ,
ნუ მომიკლავ და ნუ წამგვრი, ღმერთო!

* * *

მე დროს ჩამოვრჩი, –
როგორც წერო წეროს ქარავანს,
მე თქვენი ჯგლეთის და ჯიგარის თითქოს არა ვარ.
ასე გგონიათ?. მეგობრებო!!
ასე გგონიათ?
დრო უძლურს ჩუმქრავს, ხოლო მხრებით მიაქვს გოლიათს,
როგორც თამაში, მისტერია თუ ისტორია,
მან გადალახა თაობების ცოდვა-ცდუნება
და კიდევ მრავალ თაობათა თავზე გადავა.
მე დროს ჩამოვრჩი?
გრძელ ქარავანს ვით ბედუინი?
ტყუილი, ჩემო მეგობრებო, მტკნარი ტყუილი!
ზვინების ცეცხლი ამ ცრუ ბარბალს მალე მორჩება,
ღელეთა ქაფი ამ ცრუ ქაქანს მალე მორჩება,
მე ვდგავარ დროში ყველა დროის თანამედროვე
და ველოდები თქვენს გამოჩენას.

## ავტოპორტრეტი

### (იუმორესკა)

ზღაპარ იყო...
ზღაპარ იყო...
ღვინო ვსვი და ჩაი არა,
ამიტომაც ჩემმა ყოფნამ, ჩალაბულად ჩაიარა!
ჩემი ჯანყი და სიგიჟე
დროს უბეში ჩაიხალა,
უჟმურივით მაჟრჟოლებდა ჩაის დღე და ჩაიხანა.
სულ ბახუსთან ვაჭიკჭიკე
ანგელოზიც და ინფანტაც,
რაც ვიშოვე, სულ ეშხში და შარიშურში დაიფანტა.
იმდენი ვსვი, –
დილიხორთან,
შაითანთან,
კანიბალთან,
იმდენი ვსვი! –
შენი მტერიც ტანს იმ ღვინით დაიბანდა.
სიზმრად ვნახე! –
ჩემი ქალი მეკუზოვეს უცინოდა...
აქ ბოლომდე ვინ დამტოვებს,
უნდა მოვკვდე უცილობლად,
აბა, –
ახლა არ დამიწყო, დაღლილობა, უძილობა,
გაგონილა, შე ბარდღალავ, ქელეხი და გულცივობა?!
უღვინოდ და უაღაპოდ,
ლოდს ამ გულზე ვინ დამადებს,
რაც შემეძლო, ვიჩხუბე და ვიანგლე და ვითამადე...
ნეტავ შენი შემესმინა,
დამელია ჩაი რბილად,
ეჰ, ცხოვრებამ... შარაგზაზე, ბილიკივით ჩაირბინა.
რა ყოფილა ეს სიბერე! –
ყველაფერი მიმოსვარა...
გიხაროდეს!
გიხაროდეს!
ჩაის ვსვამ და ღვინოს არა.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## შეხვედრა ცნობილ ადამიანთა შვილებთან

# სერგეი ხრუშჩოვი: მე იმპერიული ადამიანი ვარ...



**არც კი ვიცი, რა დავარქვა — მამებისა და შვილების ბანალური კონფლიქტი თუ სხვა არაბანალური რამ. ლენინს შვილები არ ჰყავდა, ბრეჟნევისა და მისი შემდგომი სახელოვანი კოლეგების ოჯახების წევრებს კი ყველაფერი წინა აქვთ... ამ საბჭოთა ორ „გოდოლს“ შორის „შუალედურ რგოლებად“ ჯუღაშვილი და ხრუშჩოვი დგანან. დღეს ორივეს შვილი და შვილიშვილებიც — ამერიკის მოქალაქეები არიან. სტალინის ქალიშვილს, 84 წლის (აწ გარდაცვლილი) სვეტლანა ალილუევას აშშ-ის ჩრდილოეთით, 30-ე შტატ, ვისკონსინის დედაქალაქ მედისონში ერთ-ერთ მოხუცებულთა სახლში მივაგენი, მაგრამ ინტერვიუზე უარი პირადად მის ბაგეთაგან კი არა, არამედ ამ სახლის (სიტყვასიტყვით ინგლისურიდან „ასაკოვანი მოქალაქეების სახლად“ ითარგმნება) ადმინისტრაციის ოფიციალური წარმომადგენლისგან ზრდილობიანი ღიმილით და ლაკონური ახსნა-განმარტებით მივიღე. ნიუ-იორკში სტალინის შვილიშვილიც ცხოვრობს, მაგრამ ჩემი მცდელობა კვლავ უშედეგოდ დაგვირგვინდა...სამაგიეროდ, საუბარი სხვა „ლეგენდარული“ კაცის შვილთან გამომივიდა.**

77 წლის სერგეი ნიკიტას ძე ხრუშჩოვი 21 წელია ამერიკაში ცხოვრობს, ამ ქვეყნის მოქალაქეა, ამერიკის ისტორიულად ერთ-ერთი პირველი ქალაქის პროვიდენსის (შტატი როუდ აილენდი) ცნობილ ბრაუნის უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობებს ასწავლის, თუმცა პოლიტოლოგიის ფაკულტეტი არასოდეს დაუმთავრებია. უბრალოდ, გვარი აქვს საკმაოდ „ცივი“ ანუ ცივი ომისდროინდელი და ამიტომ ძველი მტრული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამ ომის პროფესიონალ ალმწერად და ექსპერტად მიიჩნევა. ობიექტურიამეთქი ვერ ვიტყვი, რადგან ამ ცნების აბსოლუტურობისა არასოდეს მწამდა და ჯერჯერობით არც მისი წიგნები წამიკითხავს. 1990-იანებში სერგეი ხრუშჩოვს ამერიკის „არაცივ“ და სტუმართმოყვარე ბრაუნის უნივერსიტეტში შესთავაზეს ეკეთებინა ის, რაზეც ნებისმიერი „სქოლარი“ ოცნებობს. უთხრეს: ა, ბურთი და, ა, მოედანი: რაც შენს სულსა და გულს გაუხარდება, ის აკეთეო, ანუ სრული თავისუფლება მისცეს. ამ უნივერსიტეტში სერგეი ნიკიტას ძე ლექციებს კითხულობს, ნანობს, რომ ქართველი სტუდენტები არა ჰყავს. პარალელურად წიგნებსაც წერს. ახლახან მუშაობა დაასრულა წიგნზე სახელწოდებით „რეფორმატორი“, რომელიც ამერიკის გარდა რუსეთსა და ჩინეთშიც გამოიცემა. წიგნი მამამისზეა. ისევე როგორც მისი სხვა წიგნებიც: „საკავშირო მნიშვნელობის პენსიონერი“ (1991), „ხრუშჩოვი“ (2001), „სუპერსახელმწიფოს დაბადება. წიგნი მამაზე“ (2003). ადრე კომუნისტური პარტიის წევრიც იყო, სსრკ-ს დაშლის შემდეგ კი — აღარ. 1964-დან 1988-მდე ქვეყნიდან არ უშვებდნენ, ანუ „ნევიეზდნოი“ იყო. კა-გე-ბე-ში ეუბნებოდნენ, გამგზავრების საკითხი ცე-კა-ში გაარკვიეო. ცე-კა-ში — არავინ გეპატიჟებათო და სად მიდიხართო. განსაკუთრებით მაშინ „ჩაკეტეს“, როცა სვეტლანა ალილუევა გაექცათ თუ გაიქცა. პირველად სამშობლოს საზღვრები 1989 წლის მარტში დატოვა. ახლა უპარტიოა, თუმცა რესპუბლიკელ ბუშს ისე აკრიტიკებს, რომ ზოგს დემპარტიის წევრი ჰგონია. ჩემი პირველი კითხვაც ამ ორი „პარალელური“, იქ და აქ ცხოვრების შეთავსებულობას შეეხო...

— ვერავინ შეცვლის თქვენი ქვეყნის ისტორიას, — მიყვება იგი. — მაგრამ, ვხედავ, რომ საქართველო და რუსეთი საკუთარ თავს არწმუნებენ, თითქოს საბჭოთა ისტორია არც კი არსებობს. თითქოს ჩვენ მეფეების დროს ვცხოვრობდით და უცებ ახლანდელ პერიოდში ვისკუპეთ; თავს იკატუნებთ, რომ თითქოს ის, რაც ჩვენ თავს გადაგვხვდა, არც კი ყოფილა. ეს სამწუხაროა, რადგან თქვენ გგონიათ, რომ შესძლებთ დაივიწყოთ რომელ ეპოქაში ცხოვრობდით? არა. ეს ეპოქა ასე თუ ისე მაინც წამოყოფს თავს.

**— ძალიანაც რომ გვინდოდეს, ბატონო სერგეი, ვინ დაგვავიწყებს? 2008-ის აგვისტო დაუვიწყრად და ნამეტნავად თვალნათელი შეხსენება იყო...**

— ასეა ცხოვრებაში. არ შეიძლება ცხოვრება დაჰყო აქედან იქამდე და იქედან აქობამდე. სსრკ-ში ჩემს ცხოვრებას ამერიკაში ჩემს ყოფნას არ ვუპირისპირებ. სსრკ — ში მე ბედნიერი და ძალიან საინტერესო ცხოვრება მქონდა. ვიყავი ინჟინერი, რთული სისტემების სპეციალისტი, ვაკეთებდი კოსმოსურ ხომალდებს, ფრთოსან რაკეტებს, ვე-კა-ბე-ში დიდ კოსტრუქტორებთან ერთად ვმუშაობდი. თანაც ეს რაკეტები თავისი ტექნოლოგიით ამერიკულ რაკეტებს 20 წლით უსწრებდა. 1957 წელს ჩვენ ისეთი რაკეტების კონსტრუირება დავიწყეთ, რომლის კეთება ამერიკელებმა მხოლოდ 1970 წელს დაიწყეს. ეს იყო ძალიან საინეტერესო დრო. განა, ვინმეს მოკვლა გვინდოდა? არა. უბრალოდ მუშაობა იყო საინტერესო. იყო იმის განცდა, რომ შენ ვიღაცის ნახელავზე უკეთესის გაკეთება შეგიძლია. ჩვენ ვაკეთებდით სხვადასხვა თანამგზავრებს, რომელსაც რადიოლოკატორების საშუალებით მთელი სამყაროს დათვალიერება შეეძლო. მერე კი 1968-ში ამ ბიუროდან, რბილად რომ ვთქვათ, გამომაგდეს. მიზეზი: მამაჩემი ხელისუფლებაში აღარ იყო და თანაც მან მემუარების წერა დაიწყო, ეს კი ხელისუფლებას არ მოსწონდა. ისინი ნიკიტაზე ყველანაირ ზეწოლას ახორციელებდნენ. მე კი მამას მემუარების წერაში ვეხმარებოდი. როგორც ჩანს, ხელისუფლებამ ბიუროდან ჩემი მოშორება ამიტომაც გადაწყვიტა. ეს იყო სიგნალი, მაფრთხილებდნენ, თუ არ დაანებებ ამას თავს, საქმე უარესად წაგივაო. მაგრამ ეს ისეთი არაკვალიფიციურად გაგზავნილი სიგნალი იყო, რომ მე ამას მხოლოდ 20 წლის შემდეგ მივხვდი. მახსოვს, ძალიან ცუდ ხასიათზე დავდექი. თუმცა ხელისუფლება ხომ ხანდახან ძალიან ბრიყვია. ადგნენ და 1968 წელს ელექტრონული მართვის მანქანების ინსტიტუტში გადამიყვანეს, სადაც კომპიუტერული სისტემები მზადდებოდა. თავის მხრივ კი ეს ინსტიტუტი ვე-კა-ბე-სთვის კომპიუტერულ სისტემას ქმნიდა. ისინი, ალაბთ, თვლიდნენ, რომ ჩემი თვალთვალი ასე უფრო ადვილი იქნებოდა: გადამიყვანეს განყოფილების უფროსად. წინა სამსახურში კი განყოფილების უფროსის მოადგილე ვიყავი. თავიდან ძალიან გავბრაზდი და განვაცხადე, რომ არაფერს გავაკეთებ, მაგრამ 6 თვის შემდეგ ჩემთან წინა სამსახურის კოლეგები გადმოვიდნენ და ჩვენც ერთად დავიწყეთ მუშაობა: კომპიუტერული და სამეცნიერო კვლევები, პროგნოზირება, უკრაინასა და შუა აზიაში ელექტოენერგიის განაწილების საკითხები და კიდევ ბევრი სხვა რამ. პენსიაზე გასვლამდე იქ ვიმუშავე. ძალიან საინტერესო იყო.

**— თქვენ „ოტტეპელის“ მამის შვილი ხართ. თავად როგორ აფასებთ მაშინდელ პერიოდს და როგორ აღმოჩნდით „მტრულ“ ამერიკაში, თანაც მუშაობის უფლებით?**

— ესაა სწორედ საკითხავი: რატომ არ გამოგვივიდა ყველაფერი ისე, როგორადაც ჩაფიქრებული გვქონდა? საბჭოთა ხალხი ისე რატომ არ ცხოვრობს, როგორადაც გვინდოდა? რატომ არ ვცხოვრობდით მსოფლიოში ყველაზე კარგად? და საერთოდ — რა ხდება? დიახ, მამაჩემი სსრკ-ის ხელმძღვანელი იყო და, სხვათა შორის, მის დროს საბჭოთა ხალხი ყველაზე კარგად ცხოვრობდა, ვიდრე XX საუკუნის რომელიმე სხვა პერიოდში. არ ვამტკიცებ, რომ ძალიან კარგად ცხოვრობდა, მაგრამ ყველაფერი საკმარისი იყო: უკეთესად არც მანამდე და არც მას მერე არავის უცხოვრია. მერე ყველაფერი დაღმა წავიდა. ამ დროს კი მე სერიოზულად დავფიქრდი, იქნებ მე უფრო რთული სისტემების შესწავლით დავკავდე-მეთქი? ისედაც ხომ რთული სისტემების ინჟინერი ვარ — ყველაზე რთული სისტემა კი საზოგადოება არაა? ბრეჟნევის დროს უცხოეთში არ მიშვებდნენ, მერე კი საზღვარგარეთ გაშვებაც დამიწყეს. წავედი ამერიკაში, სადაც თომას უოთსონს შევხვდი, ის მაშინ ABM-ის კომპანიის პრეზიდენტი გახლდათ. ამ ფირმის დამაარსებლის შვილი კი 1970-იანებში სსრკში ამერიკის ელჩი გახლდათ. როცა იგი სსრკ-დან ამერიკაში დაბრუნდა, მან დააარსა საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი, რომელიც სსრკ-სა და ამერიკის, ასევე ატომური უსაფრთხოების საკითხებით იყო დაკავებული. ამერიკაში ჰარვარდის უნივერსიტეტის მიწვევით ჩავედი, ამ ინსტიტუტს კი ატომური უსაფრთხოების საკითხები ძალიან აღელვებდა. მანამადე, 1959 წელს თომას უოთსონმა თავის ერთ-ერთ ქარხანაში მამაჩემი მიიღო, მათ ერთმანეთი მოსწონებიათ. ამის გამო წლების შემდეგ ამ კაცმა ამერიკაში მიმიწვია და მეც ინსტიტუტის ერთ-ერთ შეკრებაზე სიტყვით გამოვედი. ეს 1990 წელს მოხდა. ალბათ, მიხვდებით, რომ მიმიწვიეს არა ექსპერტობის, არამედ ხმამაღალი გვარის გამო. ამ ორგანიზაციაში კენედის სახელობის ინსტიტუტი მოქმედებს, რომელსაც თავის მხრივ აქვს პროგრამა, რომლის ფარგლებში ვისაც უნდათ, იმას დაპატიჟებენ: ყოფილ ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებს, გუბერნატორებს. სიტყვის სათქმელად დაპატიჟებული იყო ტეხასის ყოფილი გუბერნატორი, ატლანტის ყოფილი მერი. ერთხელ ჟურნალისტი მელორ სტურუა და მე ერთად აღმოვჩნდით. რატომღაც ყველას ეგონა, რომ მე და მელორ სტურუა ერთ ამბავს ავტეხდით და კონფლიქტს გავაჩაღებდით. მეუბნებოდნენ: თქვენი მამა სტალინის წინააღმდეგ გამოვიდა, არადა სტალინი ხომ ქართველია, ისევე როგორც — სტურუაო. სტურუა კი გადამეხვია, ჩვენ მშვიდობიანად რაღაცების გახსენება დავიწყეთ. მანამდე ერთმანეთს სულაც არ ვიცნობდით. მხოლოდ ამის შემდეგ მასპინძლებმა იგრძნეს, რომ ყველაფერი წესრიგშია, რომ არანაირი კონფლიქტი არ გაღვივდებოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ თომას უოთსონმა ბრაუნის ინსტიტუტშივე სამუშაოდაც მიმიწვია, თან ნება დამრთო, მეკეთებინა ის, რაც მინდოდა. დიდხანს არ მიფიქრია, დავთანხმდი და მოგვიანებით საცხოვრებლად იქვე, პროვიდენსში დავრჩი. 1991 წელს ერთი წლით ჩავედი ამერიკაში, მაგრამ ამ დროს სსრკ-ც დაიშალა და მივხვდი, რომ მე სხვაგან ვერსად წავიდოდი: რუსეთში ჩემი ინსტიტუტი დაიშალა, თანამშრომლების უმრავლესობა კი სამუშაოდ სწორედ ამერიკაში წავიდა. თანაც მომეწონა აქაურობა. იშვიათია, როცა უნივერსიტეტი ადამიანს უფლებას აძლევს, აკეთოს ის, რაც მას სურს. მე აქტიურ ცხოვრებას ვეწევი: ვწერს, გამოვდივარ, მიმდინარე მოვლენებზე ჩემს შეხედულებებს გამოვთქვამ, ვაანალიზებ, ვასწავლი სტუდენეტებს. ჩემს სტუდენტებს მოსწონთ, თუ როგორ ვასწავლი. შეიძლება ითქვას, რომ უკვე მესამე ცხოვრებას ვცხოვრობ: პირველი რაკეტებს უკავშირდებოდა, მეორე — კომპიუტერებს, მესამე კი საერთაშორისო ურთიერთობებს და იმის გაცნობიერებას, თუ როგორ ფუნქციონირებს საზოგადოება.

**— ცივ ომთან დაკავშირებული თქვენი ცხოვრების შესახებ რას გვეტყვით?**

— ეს განუსაზღვრელი განსაზღვრებაა. ცივი ომი გახლდათ კაცობრიობის ისტორიის ის პერიოდი, როცა მსოფლიოში მხოლოდ ორი სუპერსახელმწიფო — სსრკ და ამერიკა არსებობდა და ისინი ერთმანეთს პირველი ადგილისთვის ეპაექრებოდნენ. ამგვარი ბრძოლა ოდითგანვე მიმდინარეობდა, როცა ქვეყნები მსოფლიოს ბატონობისთვის ერთმანეთს ებრძოდნენ. ატომური იარაღის გამოყენების შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ თუ თქვენ ომს დაიწყებთ, თქვენ უფრო მეტს წააგებთ, ვიდრე მოიგებთ. ამის გამო, ერთი მხრივ, ქვეყნებმა არ იცოდნენ, სხვაგვარად როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, მეორე მხრივ, არც ომის დაწყება შეეძლოთ. ეს იყო ომი ომის გარეშე, ზედგამოჭრილი სახელწოდებით — „ცივი ომი“. ქვეყნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ეს საინეტერესო დაპირისპირება იყო და თანაც საკმარისად უსაფრთხოც: უფრო უსაფრთხო, ვიდრე დღეს, რადგანაც ყველა ქვეყნის ხელმძღვანელს კარგად ესმოდა, რომ თუ ვინმე პირველი გაისროდა, საქმე ძალიან ცუდად დაუმთავრდებოდა. ამიტომ ყველამ იცოდა თამაშის წესები და ამ წესებს თანამიმდევრულად მისდევდა. დიახ, ჩვენ რაკეტებს ვაკეთებდით, ამერიკელებიც აკეთებდნენ რაკეტას. ატომური იარაღი კი იმის საწინდარი იყო, რომ ომი არ დაიწყებოდა. მერე დაიწყო სხვა პერიოდის ომი: ცივი ომი დამთავრდა, ქვეყნები კი დღეს კვლავ ეპაექრებიან ერთმანეთს, დომინირებისთვის იბძვიან, მაგრამ ამჯერად არა სამხედრო, არამედ ეკონომიკური დომინირებისთვის. დღეს ეს ძირითადი შეჯიბრი ამერიკასა და ევროკავშირს; ამერიკა, ევროკავშირსა და ჩინეთს შორის მიმდინარეობს და ეს არასოდეს დამთავრდება, რადგანაც ეს ადამიანური ბუნებაა, ხასიათის ნაწილია.

**— თქვენ ამბობთ, ცივი ომი დამთავრდაო. 2008 წლის აგვისტო ცივის გაცხელება არ იყო? თქვენ ამბობთ, რომ ის, ვინც ომს იწყებს, ვერ მოიგებს...რას გულისხმობთ ამაში?**

— აგვისტოში მოხდა სისხლიანი შეცდომა, რომელიც დანაშაულზე მეტია. 1991 წელს სხვადასხვა პირობების გამო საქართველომ გვამცნო, რომ მას არ უნდა რუსეთის იმპერიის ნაწილი იყოს და თავისი დამოუკიდებლობის შესახებ განაცხადა.

**— არა მარტო საქართველომ...**

— ჰო, არა მარტო. ამავე დროს საქართველოს პროვინციებმა აფხაზეთმა და ოსეთმა განაცხადეს, რომ მათ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა არ უნდათ, ისევე როგორც მთიანმა ყარაბახმა აზერაიჯანის შემადგენლობაში ყოფნაზე განაცხადა უარი. ამის შემდეგ დაიწყო ომი საქართველოსა და ამ ავტონომიურ რესპულიკებს შორის. საქართველო ამ ომში დამარცხდა. არ ვიცი ეს კარგია თუ ცუდი...საქართველოსთვის, რასაკვირველია, ცუდია, რადგან ლამის ბოლო 20 წლის განმავლობაში თქვენთან ისეთი არასტაბილურობა სუფევდა, როგორიც — ისრაელსა და არაბებს შორის. არაბები ამბობენ, რომ ისინი ისრაელს არ სცნობენ, ხოლო ისრაელი — არაბების სახელმწიფოს მათ ტეროტორიაზე არსებობის უფლება არა აქვთო... საქართველომ განაცხადა, რომ ამ რესპუბლიკებს დამოუკიდებელ ქვეყნებად არსებობის უფლება არა აქვთ. მერე 2008-ში საქართველო შეეცადა, იქ თავისი კონტროლი აღედგინა, როგორც ამას ადრე ისრაელი ცდილობდა. რუსეთი ჩაერთო ამ ომში და დამყარდა ისეთი სტატუს-კვო, როგორიც არის. ვის აქვს უფლება დამოუკიდებლობაზე? არსებობს პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის კონცეფცია, რომელიც 1918 წელს აშშ-ის პრეზიდენტი გახლდათ: იგი ამბობდა, რომ თითოეულ ერს დამოუკიდებლობის უფლება აქვს, მაგრამ ამის პრქტიკულად ხორცშესხმა ჯეროვნად ვერ ხერხდება, რადგანაც როგორც კი რაღაც ერი თავისუფლდება უფრო ძლირი ქვეყნისგან, იგი მაშინვე თავისი უმცირესობის დათრგუნვას იწყებს, ხოლო როცა ეს უმცირესობა თავსუფლდება, იგი თავის მხრივ თავის უმცირესობას თრგუნავსო. ამიტომ ძალიან ძნელია იმის თქმა, თუ სად გადის ამ ყველაფრის ზღვარი. ასე ხომ ტერიტორია უსასრულობამდე შეიძლება ჩეხო?

**— ჰოდა, ამ ჩეხვის უსასრულობას საერთაშორისო სამართალმა დაუდო ზღვარი. სხვა უკეთესი ჯერ არაფერი გამოგონილა...**

— მე ვთვლი, რომ არიან ტრაგიკული ერები, რომლებმაც დამოუკიდებლობის უფლება ბრძოლით მოიპოვეს და მიიღეს კიდეც დე ფაქტო დამოუკიდებლობა. ეს დამოუკიდებლობა უნდა აღიაროთ. საქართველოს პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მას არ უნდა ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობა აღიაროს. ეს კი თავად საქართველოს განვითარებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს. თვითგამოცხადებულ ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებზე კონტროლის აღდგენა არ მოხდება. სხვაგვარად საქართველო ნატოს წევრი ვერ გახდება. იგი ნატოს წევრი მხოლოდ მაშინ გახდება, როცა თქვენ აღიარებთ თქვენს ახალ საზღვრებს ანუ მას შემდეგ, რაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს აღიარებთ. მესმის, რომ ეს ძალიან ძნელია. ვინ მოიგო ამ ომში? არავინ. ყველამ წააგო. რუსეთმა იმ დასავლეთიდან, რომელიც საქართველოს მხარს უჭერს, ნეგატიური რეაქცია მიიღო. დასავლეთი დაინტერესებულია საქართველო-რუსეთის დაპირისპირებით, რადგანაც საქართველოზე გაივლის ნავთობსადენი, რომლის შენარჩუნება ამერიკასა და ევროპას რუსეთისგან დამოუკიდებლად უნდათ. ამ დაპირისპირებაში საქართველოს ყოფნა იმის მაჩვენებელია, რომ ნავთობსადენი რუსეთის კონტროლის ქვეშ არ მოხვდება. დასავლეთი რუსეთს კი არ დაიპყრობს, არამედ მის აქციებს არ იყიდის. სხვა მხრივ საქართველომ წააგო იმიტომ, რომ ომის შედეგად რუსეთმა ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა აღიარა. საქართველოს მიერ ამ ტერიტორიებზე კონტროლის აღდგენის თეორიული ალბათობაც კი არ არსებობს. საქართველოს ომის შემდეგ არ შეუძლია განაცხადოს: დიახ, ჩვენ ვაღიარებთ თქვენს დამოუკიდებლობას. ამიტომ ასეთი სიტუაციაა: ყველამ წააგო და არავინ იცის, შემდეგი სვლა საითკენ უნდა გაკეთდეს: ვერც მარცხნივ, ვერც მარჯვნივ, ვერც უკან და ვერც წინ მიდიხართ.

**ია მერკვილაძე,**
ნიუ-იორკი-პროვიდენსი, აშშ

**(გაგრძელება იქნება)**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოში რუსეთის სამხედრო მანევრებისა არ შეეშინდათ

**შავ ზღვაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლების დაწყების შესახებ მოულოდნელმა ბრძანებამ, რომელიც რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა 28 მარტის განთიადისას გასცა, განგაშზე რამდენიმე ათასი რუსი სამხედრო მოსამსახურე წამოაყენა, თუმცა, ამან არ შეაშინა მეზობელი საქართველოს მცხოვრებლები.**

„ეს მართლაც მოულოდნელი შემოწმება იყო და დილის 4 საათზე თავდაცვის მინისტრს მიუტანეს დახურული კონვერტი, რომელიც მან გახსნა და გაეცნო ბრძანებას“, — გვაცნობა პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა.

სწავლებაში, პესკოვის სიტყვებით, ნოვოროსიისკსა და უკრაინის სევასტოპოლში განლაგებული 36 ხომალდი, სამხედრო ავიაცია, სამხედრო-სადესანტო ჯარები და საზღვაო ქვეითი ჯარები, აგრეთვე, გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს სპეციალური ქვედანაყოფები მონაწილეობენ.

რუსეთის სამხედრო მანევრების შესახებ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ გაიგო საღამოს ახალი ამბებისგან. იქ არ დავიწყნიათ, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომსაც წინ უსწრებდა რუსეთის არმიის ფართომასშტაბიანი სწავლება, მაგრამ ამჯერად საქართველოში ცნობას გულგრილად შეხვდნენ.

„რუსეთი თითქოს ირიბად აცნობებს მსოფლიოს, რომ, ასე თუ ისე, შეუძლია ჩაერთოს რეგიონში მიმდინარე პროცესებში, — განაცხადა ქართველმა ექსპერტმა რამაზ საყვარელიძემ. — საქართველოში ჩაქრა სიფრთხილე რუსეთისადმი, და ამან მოადუნა საფრთხის გრძნობაც“.

როგორც პესკოვმა განაცხადა, პრეზიდენტმა სწავლების დაწყების შესახებ ბრძანება გასცა 4 საათზე მოსკოვის დროით თვითმფრინავის ბორტიდან, რომლითაც პუტინი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამართული სამიტიდან ბრუნდებოდა.

სწავლებაში ჩართულია 7 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი, რაც, პესკოვის სიტყვებით, არ მოითხოვს პარტნიორების



წინასწარ გაფრთხილებას. სწავლების სცენარი ითვალისწინებს სამხედრო ქვედანაყოფების დესანტირებას სამ პოლიგონზე რუსეთის ტერიტორიაზე.

რუსეთის სამხედრო ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ ამგვარი სწავლება — ნორმალური და სასარგებლო პრაქტიკაა.

„ეს მართლაც ნაწილებისა და ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის შემოწმებაა, როდესაც წინასწარ არ არის ცნობილი თარიღი, მომავალი სწავლების დრო და მიზანი, — მოჰყავს „რია-ნოვოსტის“ თავდაცვის სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარის იგორ კოროტჩენკოს ციტატა. — ეს არის ნორმალური ელემენტი არმიის მოყვანისთვის ამა თუ იმ დონის საბრძოლო მზადყოფნაში, რათა პრაქტიკულად დაამუშაონ ის, რისთვისაც, არსებითად, გათვალისწინებულია შეიარაღებული ძალები — ესე იგი, აგრესიის მოსაგერიებლად“.

რუსეთის არმიის მანევრები მოჰყვა ამიერკავკასიაში უშიშროებისა და სტაბილურობის შესახებ მოლაპარაკების მორიგი რაუნდის ჩავარდნას. მოლაპარაკება მიმდინარეობდა ჟენევაში გაეროს, ევროკავშირისა და ეუთოს ეგიდით.

წინა დღით საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დელეგაციებმა, ეს უკვე მერამდენედ, ვერ შეძლეს შეთანხმებულიყვნენ ერთმანეთის წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის შესახებ და განცხადების პროექტის მიღება გადადეს ზაფხულისთვის — როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობაშია აღნიშნული, „ქართული მხარის მოუმზადებლობის გამო“.

ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით — უმთავრესად კრემლის მომხრეებისა — რუსეთის მანევრები შავი ზღვის რეგიონში საქართველოს ხელისუფლებისთვის უნდა გახდეს არაორაზროვანი სიგნალი.

მაგრამ საქართველოში არ სურთ, გაავლონ პარალელები რუსეთის სწავლებასა და ჟენევის მოლაპარაკების ჩავარდნას შორის, ამბობს დამოუკიდებელი სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალის „არსენალის“ მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი.

„ეს მანევრები შარშან რომ გამართულიყო, საფრთხე იქნებოდა. მაგრამ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როდესაც ურთიერთობებმა რუსეთთან დაიწყო მოწესრიგება, საფრთხე უკვე ნაკლებია“, — უთხრა ბიბისის რუსულ სამსახურს სამხედრო ექსპერტმა.

„საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური რეაქცია ჯერჯერობით არ ყოფილა, და არც ვფიქრობ, რომ იგი იქნება მტკივნეული. თუმცა, უნდა გააკეთო დაწვრილებითი ანალიზი და განაგრძო დაკვირვებები“, — დაუმატა ალადაშვილმა.

ელოდებიან, რომ რუსეთის სამხედრო სწავლება შავი ზღვის რაიონში კვირის ბოლომდე გაგრძელდება.

BBC RUSSIAN.com

# აზერბაიჯანი, საქართველო და თურქეთი მიმოსვლის საერთო გზას დაადგინეს

**28 მარტს ბათუმში გაიმართა საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელთა შეხვედრა, რომლის დროსაც ტრაბზონის დეკლარაციის ქვეყნებმა მოილაპარაკეს — გააღრმაონ სამმხრივი თანამშრომლობა. მისი მთავარი პროექტი უნდა გახდეს რკინიგზა ბაქო-თბილისი-ყარსი, რომელიც აერთიანებს სამ ქვეყანას ყოფილი სსრ კავშირის სარკინიგზო ქსელის შემოვლით. ქართველი ექსპერტების შეფასებით, ინტეგრაციის შემდეგი ეტაპი შეიძლება გახდეს სამმაგი სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნა.**




მინისტრთა მეორე შეხვედრაში მონაწილეობდნენ სამი ქვეყნის დიპლომატიური უწყებების ხელმძღვანელები — მაია ფანჯიკიძე, ელმარ მამედიაროვი და ახმეტ დავუთოღლუ. ასეთ ფორმატში რეგულარულ ურთიერთობათა შესახებ მინისტრებმა მოილაპარაკეს შარშან ივლისში, როდესაც ხელი მოაწერეს ტრაბზონის დეკლარაციას, რომელიც ითვალისწინებს სამი ქვეყნის უფრო მჭიდრო თანამშრომლობას.

28 მარტს მაია ფანჯიკიძემ ჩამოთვალა ის სფეროები, სადაც უახლოეს პერიოდში იგეგმება ურთიერთმოქმედების ინტენსიფიცირება და ხელს მოაწერენ მთელ რიგ შეთანხმებებს: ესენია ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ტურიზმი და კულტურა. „მაგრამ ამას გარდა, არის კიდევ მრავალი სხვა პრობლემა და მნიშვნელოვანი მიმართულება“, — მრავალმნიშვნელოვნად შენიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა.



ჩვენი გაზეთის მონაცემებით, ბათუმის შეხვედრის ერთ-ერთი თემა გახდა სარკინიგზო ხაზის ბაქო-თბილისი-ყარსის მშენებლობის სწრაფი დასრულების საკითხი. შეგახსენებთ, რომ ეს სარკინიგზო ხაზი ერთმანეთთან აერთებს აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს სარკინიგზო გზების სსრ კავშირისდროინდელი ქსელის გვერდის ავლით. სამი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელებმა დაადასტურეს მზადყოფნა, დაამთავრონ სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა მიმდინარე წელს.

ქართველი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თბილისის მისწრაფება — დააჩქარონ ამ პროექტის რეალიზაცია — განპირობებულია მოსკოვის გულგრილი რეაქციით სარკინიგზო მიმოსვლის განახლების იდეაზე რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის აფხაზეთის გავლით. ამ იდეის განხილვის ინიციატორმა, საქართველოს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ მოსკოვიდან პოლიტიკური გამოხმაურების უქონლობამ მასში უკმაყოფილობა გამოიწვია. როდესაც ამ საკითხზე გაგება ვერ აღმოაჩინეს, თბილისში, როგორც ჩანს, ორიენტაცია აიღეს ალტერნატიულ ინფრასტრუქტურულ პროექტზე აზერბაიჯანისა და თურქეთის მონაწილეობით.

ბათუმის შეხვედრის შედეგების მიხედვით მინისტრებმა დაამტკიცეს მოქმედებათა გეგმა 2013-2015 წლებისთვის. მასში, მართალია, არ არის ნახსენები თანამშრომლობა თავდაცვისა და უშიშროების სფეროში, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მისი დასაწყისი „შორს არ არის“. საქართველოს დიპლომატიური აკადემიის ყოფილმა რექტორმა იოსებ ცინცაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა: „სამხრეთ კავკასიაში შეიძლება გაჩნდეს სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი“.

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



**კიმ ჩენ ინმა ბრძანება გასცა, მოამზადონ რაკეტები აშშ-სა და სამხრეთი კორეის წინააღმდეგ**

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერმა ხელი მოაწერა კორეის სახალხო არმიის სტრატეგიული რაკეტების ტექნიკურ მომზადებათა გეგმას, უბრძანა მათ, იყვნენ მზად, რათა ნებისმიერ მომენტში დაარტყან ამერიკის შეერთებული შტატების სამატერიკო ნაწილებს, წყნარ ოკეანეში მოქმედ სამხედრო ბაზებს, მათ შორის, ჰავაისა და გუამზე, აგრეთვე სამხრეთი კორეის ნაწილებს.

* * *

**ლიბიაში ისლამისტებმა XV საუკუნის სუფიელი თეოლოგის მავზოლეუმი ააფეთქეს**



სიდი მუჰამედ ალ-ალდალუზის მავზოლეუმში, რომელიც დედაქალაქის გარეუბან ტაჯურში მდებარეობს, განთიადისას ჩადეს და ააფეთქეს სამი ბომბი, რის შედეგადაც აკლდამა პრაქტიკულად მთლიანად ჩამოინგრა. ხელისუფლებამ ამაში ბრალი ადგილობრივ სალაფიტებს დასდო, რომლებსაც სუფიზმის მიმდევრები ერეტიკოსებად მიიჩნევენ.

* * *

**დამასკოს უნივერსიტეტის მიმართულებით ნაღმების სროლის მსხვერპლი 15 კაცი გახდა**



კიდევ 29 ქალიშვილისა და ჭაბუკის სიცოცხლისთვის იბრძვიან ექიმები. ყუმბარები გასკდა არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტთა სასადილოს გვერდით. ახალგაზრდობამ იქ ღამით მოაწყო „ტერორის წინააღმდეგ მასობრივი დგომა“. ხალხის მასა მოვიდა სანთლებით უნივერსიტეტის ტერიტორიაზე.

* * *

**ბრაზილიაში გიგანტურმა ტალღამ პირსიდან 6 კაცი გაიტაცა**

შემოსული მონაცემების მიხედვით, ტალღა წარმოიქმნა მდინარის ნაპირის ჩამონგრევის შედეგად, რაც წვიმებმა გამოიწვია. პირსს იყენებდნენ მადნეულის ჩასატვირთად საოკეანო ხომალდებში. უზარმაზარმა ტალღამ გაიტაცა ხალხი და მძიმე ტექნიკა, მათ შორის, რამდენიმე სატვირთო მანქანა და სანავსადგურო ამწე.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

### ◉ ადამიანი დროში



# უნივერსალური კაცი

**ეს რომ ასეა და, ნამდვილად უნივერსალური, ჰარმონიული, მრავალმხრივი პიროვნებაა ჩვენი იუბილარი, ბატონი ლერი გოგოლაძე, ამაში მკითხველიც მალე დარწმუნდება, ხოლო იმისთვის, რომ ვინმემ სუბიექტურობა-მიკერძოებაში არ ჩაგვითვალოს სახელოვანი მეგობრის ქება-დიდება, ამთავითვე მოვიყვანთ მისი ცხოვრების, ღირსეული ცხოვრების ფაქტებსა და მოვლენებს...**

სკოლაში ფრიადოსანი, სპორტშიც წარმატებული იყო იმთავითვე... შემდეგ კი... შემდეგ ჩვენ თვალწინ იგი მთელი ქართული, და არა მხოლოდ ქართული, საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი. თვითონ განსაჯეთ: აქეთ უნივერსიტეტში უკვე სტუდენტობისას მათემატიკური მეცნიერების ნიუანსების გაცნობა, შემდეგ ასპირანტურაში სწავლით ცოდნის გაღრმავება და მეცნიერის და პედაგოგის ყველა საფეხურის წარმატებით გავლა — მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტი, მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი. მრავალი წლის მანძილზე მრავალჯერ იყო არჩეული კათედრის გამგედ. ასევე წლების მანძილზე იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი და, რაც მთავარია, უნივერსიტეტის პრორექტორი... ეს დიდად საამაყო იყო არა მხოლოდ მისთვის, არამედ ჩვენთვის, მისი ახლობლებისთვის...

ერთი სულის ამოთქმით ჩამოთვლილი ეს ფაქტები ჩვენი უნივერსალური მეგობრის ცხოვრების მხოლოდ ერთ სფეროს — ერთ ნაწილს მოიცავს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანს, მაგრამ...

ვბედავთ, აქვე შევეხოთ ლერი გოგოლაძის ცხოვრების მეორე მხარეს, მეორე ნაწილიც გავიხსენოთ, ჯილდოებით, მედლებით „დახუნძლული" სპორტის უნიკალურ სახეობაში — წყალბურთში. რა თქმა უნდა, იმ სახელმწიფო ორდენებთან და სამეცნიერო ჯილდოებთან ერთად, რომლებიც თავისი მრავალმხრივი და ხანგრძლივი მოღვაწეობის დროს მიიღო.

22 წლის ჭაბუკი რომის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი გახდა, სწორედ მას მიუძღვის დიდი წვლილი გადამწყვეტ თამაშებში — დაძაბულ მომენტებში გუნდის მეკარის ლერი გოგოლაძის ოსტატობამ იხსნა გუნდი აშკარა, აუღებელი გოლებისგან...

შემდეგ იყო წარმატების კასკადი მთელი ათეული წლის მანძილზე — ევროპის ჩემპიონატებში, საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებები, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მრავალჯერ მოპოვება, საერთაშორისო აღიარება და არაერთ ტურნირში საუკეთესო მეკარის წოდების მოპოვება.

მკითხველს არ ეგონოს, ასაკში შესულ ჩვენს ბერმუხას რაიმე დაავიწყდა ან ჟინი დაკარგა, კვლავ ძველებურად შეათამაშებს ფართო მხარბეჭს, ვეება ხელებს მოიქნევს, აუზში გადახტება და პატარა ბიჭებს წყალბურთის ანაბანას ასწავლის, ანახვებს კიდეც, პრაქტიკულად როგორ გააკეთონ ესა თუ ის ილეთი, შემდეგ ომახიანად შესძახებს — არ დაგავიწყდეთ, ვისი გორისა ხართ, ჩვენ მოგვბაძეთ, ჩვენსავით და თუნდაც ჩვენზე კარგად ითამაშეთ, აღადგინეთ ქართული წყალბურთის დიდებაო... ამ მიზნით საწყლოსნო სპორტის ფედერაციის პრეზიდიუმშიც საქმიანობს, წყალბურთის სპორტული კლუბ „ივერიას" გამგეობის წევრიცაა და ამ კლუბის გუნდების კონსულტანტიც გახლავთ... ეს ყველაფერი კი, იმ სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის ფონზე, რომელსაც დღემდე ინარჩუნებს სხვა „ჩარეცხილთაგან" განსხვავებით, და მისი ლექცია-სემინარები, სტუდენტებთან, ასპირანტებთან მაგისტრანტებთან მუშაობა სამაგალითოა ახალგაზრდა კოლეგებისთვის...

უფრო მეტიც, უკანასკნელ წლებში იგი მთავარი ხელმძღვანელი გახლდათ ნორჩ მათემატიკოსთა მსოფლიო ოლიმპიადაზე ჩვენი ქვეყნის გუნდის მონაწილეობასა და მომზადებაში.

რამდენი რამ დაგვრჩა უთქმელ-დაუწერელი ამ მართლაც უნივერსალურ კაცზე — პიროვნებაზე და თუ გავითვალისწინებთ გარდა ზემოთ აღწერილისა, მის მრავალმხრივ განსწავლულობას ინტერესების სფეროს კულტურასა და ხელოვნებაში, ლიტერატურასა და ისტორიაში, საერთოდ მის ინტელექტუალობას, მაშინ თამამად შეგვიძლია ვიამაყოთ მისმა ახლობლებმა.

ახლა კი დროა ბატონი იუბილარის, ლერი გოგოლაძის ოჯახი გაგაცნოთ, უფრო სწორად გავიხსენოთ, ვინაიდან ისედაც ცნობილია ამ პატრიოტის ეროვნული მოძრაობით გულანთებული ოჯახი...

ჩვენი ლერის მეუღლე, ქალბატონი ციცო გაბესკირია პროფესიით ფილოლოგია — უცხო ენების სპეციალისტი, ხოლო გენეტიკურად (ცნობილი პოეტის ვიქტორ გაბისკირიას ქალიშვილი) პოეზიის ტრფიალია და, საიდუმლოსაც გაგანდობთ, ლექსებსაც აჭაშნიკებს და პატარა ჩანახატებსაც თხზავს — ლერი სახლში სულ სხვაა, ფუსფუსებს, განსაკუთრებით სამზარეულოში ტრიალი მოსწონს, გურმანია და ათასგვარ კერძს თვითონ ამზადებს. ციციმ და ლერიმ შესანიშნავი შვილები აღზარდეს, ნიჭიერები — განსწავლულები, ახალგაზრდა სპეციალისტები — დათო და ანა. ანომ თავის მეუღლესთან ერთად სამაგალითო ოჯახი შექმნა, მათი პაწია შვილები ნინი და დათო ლერი ბაბუის სიამაყე და სიხარულებია...

ასე იცხოვრა, ცხოვრობს და იცხოვრებს დიდხანს ჩვენდა გასახარად დიდი კაცი, უნივერსალური ლერი გოგოლაძე, ჩვენი იუბილარი!

ვულოცავთ სახელოვან ქართველს დაბადების დღეს!

**ძველი მეგობრებისა და ვეტერანი სპორტსმენების სახელით**
**ნოდარ კურტანიძე,**
**ოთარ მიმინოშვილი**

### ◉ სად წაიყვან სადაურსა...

# ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბაქი),

**1585-1658 (თარიღები მიახლოებითია)**



**პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, ერთ-ერთი გამომცემელი პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნისა. 8 წლის ბავშვი გააგზავნეს იტალიაში, სადაც ბერძნულ სკოლაში მიებარა სასწავლებლად. იტალიაშივე აღიკვეცა ბერად. საქართველოში 1608 წელს დაბრუნებული, გახდა კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის მოძღვარი.**

1614-ში იერუსალიმში წავიდა; 1625-ში თეიმურაზ I-ის დავალებით დიპლომატიური მისიით იმოგზაურა ევროპაში; რომში აქტიურად მონაწილეობდა ქართული ბეჭდვითი გამოცემის ორგანიზებაში. 1629 წელს მისი დახმარებით ჩამოისხა ქართული ანბანი, გამზადდა და გამოიცა ქართულ-იტალიური ლექსიკონი (პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი!), რასაც მოჰყვა „ლოცვანი" (ქართულ ენაზე).

საქართველოში კვლავ 1629 წელს დაბრუნდა და მეტეხის ეკლესიის წინამძღვრობა იტვირთა. 1643-49 წლებში ნ. ჩოლოყაშვილი იერუსალიმში ქართველთა ჯვრის მონასტრის წინამძღვარია. 1650 წელს მორიგ ჯერზე მობრუნდა სამშობლოში, იმერეთის სამეფო კარზე ლევან II დადიანთან, რომლის გარდაცვალების შემდეგ ვამეყ III-მ სხვა მოწინააღმდეგეთა შორის ნ. ჩოლოყაშვილიც შეიპყრო და ციხეში ჩასვა. იგი საპატიმროშივე გარდაიცვალა.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა საქართველოს პოლიტიკურ თუ კულტურულ წინსვლას მოხმარდა.

**მოამზადა**
**თამაზ ებანოიძემ**

### ◉ სტატისტიკა

# საქართველოს საგარეო ვალმა 13.4 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა

**საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 13.4 მლრდ. აშშ დოლარი (22.1 მლრდ ლარი) შეადგინა. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, აქედან, 4.2 მლრდ. აშშ დოლარი (7.0 მლრდ ლარი) იყო სამთავრობო სექტორის ვალი (31.8%), 582.3 მლნ აშშ დოლარი (964.8 მლნ ლარი; 4.4%) — ეროვნული ბანკის, 2.5 მლრდ აშშ დოლარი (4.1 მლრდ ლარი; 18.5%) — საბანკო სექტორის, 3.2 მლრდ აშშ დოლარი (5.3 მლრდ ლარი; 24.1%) — სხვა სექტორებისა და 2.8 მლრდ აშშ დოლარი (4.7 მლრდ ლარი; 21.3%) — კომპანიათაშორისი ვალი. მთლიანი საგარეო ვალის 94.3 პროცენტი დენომინირებულია უცხოური ვალუტით.**

2012 წლის მეოთხე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 58.1 მლნ აშშ დოლარით (96.5 მლნ ლარით) გაიზარდა. აქედან ოპერაციული ცვლილების გამო ვალი გაიზარდა 17.3 მლნ აშშ დოლარით (28.7 მლნ ლარი), ფასის ცვლილების შედეგად — 10.2 მლნ აშშ დოლარით (17.0 მლნ ლარი), საკურსო ცვლილებების შედეგად — 9.3 მლნ აშშ დოლარით (15.5 მლნ ლარი), ხოლო სხვა ცვლილებების გამო 21.3 მლნ აშშ დოლარით (35.3 მლნ ლარი).

სამთავრობო სექტორის უცხოური ვალდებულებები საანგარიშო პერიოდში 76.6 მლნ აშშ დოლარით (127.1 მლნ ლარით) გაიზარდა. აქედან ოპერაციული ცვლილებების შედეგად ზრდამ 76.6 მლნ აშშ დოლარი (127.3 მლნ ლარი) შეადგინა და ფასის ცვლილების გამო 5.5 მლნ აშშ დოლარი (9.1 მლნ ლარი), ხოლო საკურსო ცვლილების შედეგად სამთავრობო სექტორის ვალი 5.6 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (9.3 მლნ ლარი).

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი 70.2 მლნ აშშ დოლარით (116.6 მლნ ლარით) შემცირდა. აქედან, ოპერაციული ცვლილების შედეგად ეროვნული ბანკის ვალდებულებების შემცირებამ 68.0 მლნ აშშ დოლარი (113.0 მლნ ლარით) შეადგინა და საკურსო ცვლილების შედეგად - 2.2 მლნ აშშ დოლარი (3.6 მლნ ლარი).

საბანკო სექტორის უცხოური ვალდებულებები 10.1 მლნ აშშ დოლარით (16.8 მლნ ლარით) გაიზარდა, რაც გამოწვეულია ოპერაციული ცვლილებების შედეგად 6.1 მლნ აშშ დოლარიანი (10.2 მლნ ლარით) და საკურსო ცვლილებების შედეგად 4.9 მლნ აშშ დოლარით (8.2 მლნ ლარით) ზრდით, აგრეთვე ფასის ცვლილებების გამო ბანკების ვალდებულებების 0.9 მლნ აშშ დოლარით (1.5 მლნ ლარი) შემცირებით. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის მეოთხე კვარტალში ადგილი ჰქონდა საბანკო სექტორის მოკლევადიანი ვალდებულებების 76.8 მლნ აშშ დოლარით (127.6 მლნ ლარი) შემცირებას და გრძელვადიანი ვალდებულებების 87.0 მლნ აშშ დოლარით (144.4 მლნ ლარი) ზრდას.

სხვა სექტორების საგარეო ვალდებულებები 93.5 მლნ აშშ დოლარით (155.2 მლნ ლარით) გაიზარდა, აქედან 79.1 მლნ აშშ დოლარი (131.3 მლნ ლარი) არასაფინანსო კორპორაციების საგარეო ვალდებულებებზე მოდის. სხვა სექტორების საგარეო ვალი ოპერაციული ცვლილების შედეგად — 27.2 მლნ აშშ დოლარით (45.2 მლნ ლარით), საკურსო ცვლილებების შედეგად — 8.3 მლნ აშშ დოლარით (13.8 მლნ ლარით) და ფასის ცვლილებების შედეგად — 5.7 მლნ აშშ დოლარით (9.4 მლნ ლარით) გაიზარდა, ხოლო სხვა ცვლილებების შედეგად სხვა სექტორების საგარეო ვალი 52.3 მლნ აშშ დოლარით (86.8 მლნ ლარით) გაიზარდა, რაც ძირითადად გამოწვეულია კლასიფიკაციური ცვლილებებით. კერძოდ, პირდაპირი ინვესტორის ცვლილების გამო მოხდა კომპანიათშორისო სესხების სხვა სექტორების სესხებად რეკლასიფიკაცია.

საანგარიშო პერიოდში, უცხოური კომპანიათაშორისი სესხები 51.8 მლნ აშშ დოლარით (86.0 მლნ ლარით) შემცირდა, ხოლო ოპერაციული ცვლილებების შედეგად - 24.6 მლნ აშშ დოლარით (40.9 მლნ ლარით). სხვა ცვლილებების შედეგად, რაც გამოიხატებოდა პირდაპირი ინვესტიციების სესხებში რეკლასიფიკაციით, მოხდა 31.0 მლნ აშშ დოლარით შემცირება (51.5 მლნ ლარით), ხოლო საკურსო ცვლილებების შედეგად კომპანიათაშორისი სესხები 3.9 მლნ აშშ დოლარით (6.4 მლნ ლარით) გაიზარდა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უცხოური ვალუტით დენომინირებული საგარეო ვალდებულებების მოცულობა 85.2 მლნ აშშ დოლარით (141.4 მლნ ლარი) გაიზარდა და 12.6 მლრდ აშშ დოლარი (20.9 მლრდ ლარი) შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით დენომინირებული ვალის მოცულობა 27.1 მლნ აშშ დოლარით (44.9 მლნ ლარი) შემცირდა და 761.6 მლნ აშშ დოლარი (1.3 მლრდ ლარი) შეადგინა.

## 2012 წელს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით 1.7 პროცენტით შემცირდა

2012 წელს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით 1.7 პროცენტით შემცირდა და 57 031 შეადგინა, მათ შორის ბიჭი — 29 801, ხოლო გოგო — 27 230, მიუხედავად ბოლო 2 წლის განმავლობაში შემცირებისა.

„საქსტატის" ინფორმაციით, აღსანიშნავია, რომ შობადობის მაჩვენებელი 2004-2007 წლების პერიოდთან შედარებით მაინც მაღალ დონეზე რჩება.

რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულთა წილი 2012 წელს 2011 წელთან შედარებით იზრდება და 67.5 პროცენტს აღწევს. შედარებისათვის, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (45.6 პროცენტი) 2006 წელს დაფიქსირდა.

სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ცოცხლად დაბადებულთა რიგითობის გადანაწილებაში შეინიშნება მნიშვნელოვანი ცვლილებები. თუ 2011 წელს პირველი შვილის წილი საერთო დაბადებაში შეადგენდა 47.7 პროცენტს, 2012 წელს იგივე მაჩვენებელი 46.2 პროცენტამდე შემცირდა. ამასთან, 2012 წელს, 2011 წელთან შედარებით მეორე შვილის წილი საერთო დაბადებაში 37.4 პროცენტიდან 38.1 პროცენტამდე, ხოლო მესამე და მომდევნო შვილების წილი 14.9 პროცენტიდან 15.6 პროცენტამდე გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ ცვლილებები განიცადა ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობის განაწილების სტრუქტურამ დედის ასაკის მიხედვით, 2011 წელთან შედარებით 46.3 პროცენტიდან — 44.2 პროცენტამდე შემცირდა 25 წლამდე დედების მიერ ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა, იმავე პერიოდისათვის 25 წლისა და უფროსი ასაკის დედებში შეინიშნება 53.7 პროცენტიდან 55.7 პროცენტამდე მატება.

2012 წელს 2011 წელთან შედარებით თითქმის უცვლელი დარჩა დედის საშუალო ასაკი, რომელმაც შეადგინა 24.2 წელი პირველი ბავშვის დაბადებისას და 26.1 წელი საერთო დაბადებისას.

უმნიშვნელო ცვლილება განიცადა გარდაცვლილთა რიცხოვნობის სქესობრივ-ასაკობრივმა განაწილებამ. წინა წელთან შედარებით, მცირეოდენი შემცირებაა მამაკაცების 15-24, 45-49 და ქალების 20-34 ასაკობრივ ჯგუფებში, ხოლო კლება ორივე სქესისათვის დაფიქსირდა 60-84 ასაკობრივ ჯგუფებში.

## 2012 წლისათვის გარდაცვლილთა საშუალო ასაკი მამაკაცისთვის - 72.8, ხოლო ქალისთვის - 77.7 წელია

2012 წლისათვის გარდაცვლილთა საშუალო ასაკი მამაკაცისთვის - 72.8, ხოლო ქალისთვის — 77.7 წელია, როდესაც იგივე მაჩვენებელი 2000 წელს მამაკაცისთვის 63.3 წელს, ხოლო ქალისთვის - 71.8 წელს შეადგენდა.

2012 წელს 1 წლამდე გარდაცვლილთა კოეფიციენტი 1 000 ცოცხლად დაბადებულზე 12.5 პრომილე იყო.

„საქსტატის" ინფორმაციით, 2012 წელს ბუნებრივმა მატებამ (სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობას შორის) 7 683 ერთეული შეადგინა

**ჯი-ეიჩ-ენი, ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ხელბურთი

# გვსურს, მსოფლიოს ვუმასპინძლოთ




**საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზურაბ კაკაბაძემ გვითხრა, 19-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა 2017 წლის მსოფლიოს პირველობის ფინალური ეტაპის მასპინძლობაზე საერთაშორისო ორგანიზაციაში განაცხადი წარვადგინეთო. საქმე ის არის, რომ 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი გაიმართება, მის პროგრამაში კი შეტანილია ხელბურთი — 1998–1999 წლებში დაბადებული გოგო-ბიჭები იასპარეზებენ. ეს ის ასაკია, რომლის წარმომადგენლებსაც სწორედ ორი წლის შემდეგ მსოფლიოს პირველობა უწევთ და იმ დროს საქართველოს კონკურენტუნარიანი გუნდი ეყოლება. საგულისხმოა, რომ საფესტივალოდ ჩვენი ხელბურთელები მეოთხე წელიწადია, ინტენსიურად ემზადებიან და რეგულარულად მონაწილეობენ ქვეყნის პირველობებში. მაგალითად, წლეულს ამ ასაკის გოგონათა 12 და ბიჭების 19 გუნდი ჩაება შეჯიბრებაში.**

მსოფლიოს პირველობის მასპინძლობასთან დაკავშირებით საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის საშეჯიბრო კომისიის თავმჯდომარე ლეონ კალინი, რომელიც უკვე შეხვდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანს, მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძეს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ლერი ხაბელოვსა და გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილს. სეოკ–ის თავკაცმა საპატიო სტუმარს ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური მიღწევები გააცნო და საუბარში აღნიშნა, რომ „საქართველოს ხელბურთში მდიდარი ტრადიციები აქვს. გვყავს ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრე ანპილოგოვი. საერთაშორისო ტურნირების გამართვის გამოცდილებაც არ გვაკლია. ამას წინათ მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი ჩავატარეთ, მანამდე მსგავს შეჯიბრებას ძიუდოშიც ვუმასპინძლეთ. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მიესალმება ჩვენი ქვეყნის ხელბურთის ფედერაციის სურვილს — 2017 წელს უმასპინძლოს 19-წლამდელთა მსოფლიოს პირველობას და მზად არის მაქსიმალურად მხარში ამოუდგეს მას". თავის მხრივ, თბილისში სტუმრობით კმაყოფილება გამოხატა ლეონ კალინმა და დასძინა: **„მივესალმები თქვენს სურვილს, უმასპინძლოთ მაღალი რანგის შეჯიბრებას. ეს ჩვენი ფედერაციის ინტერესებშიც შედის, რადგან გვინდა, რომ ხელბურთი ბევრ ქვეყანაში იყოს პოპულარული. მსოფლიოს ჩემპიონატის სამასპინძლოდ სამი კარგი დარბაზია აუცილებელი, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებს დააკმაყოფილებს. ასევე მნიშვნელოვანია საცხოვრებელი პირობები. მე ვაფასებ თქვენს ძალისხმევას და, თუ დავრწმუნდები, რომ შეჯიბრების ჩატარება თქვენს შესაძლებლობებს არ აღემატება, თან სახელმწიფოს მხრიდანაც შესაბამისი გარანტიები იქნება, მაშინ მზად ვარ, საქართველოს კანდიდატურას ლობირება გავუწიო".**

19-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა ხორვატეთსა და სამხრეთ კორეასაც სურთ. ხელბურთის საერთაშორისო ფედერაცია არჩევანს დოჰაში (ყატარი, ოქტომბერი) დაგეგმილ კონგრესზე გააკეთებს.

**ლექსო ცინცაძე**

რაგბი

# ფრანგული „ოსკარი" — მამუკა გორგოძეს




**უძველესი სპორტული გამოცემაა საფრანგეთის ყოველდღიური სარაგბო გაზეთი „მიდი ოლიმპიკი", რომელიც 1954 წლიდან სპეციალური პრიზით — „ოსკარით" აჯილდოებს ქვეყნის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეებს. სამფეროვნებმა ამჯერად ბორჯღალოსანთა და „მონპელიეს" ლიდერი, საქართველოს 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენი მამუკა გორგოძე დააფასეს. იგი პირველი ქართველი მორაგბეა, ვისაც „ოსკარი" მიენიჭა.**

დაჯილდოების ცერემონიალზე გაზეთის მთავარი რედაქტორის მოადგილემ ჟაკ ვერდემ მაღალი შეფასება მისცა ქართველი მესამეხაზელის თამაშს და „მონპელიეს" ბოლოდროინდელ წარმატებებში ჩვენებურის დამსახურება ხაზგასმით აღნიშნა.

მასმედიის წარმომადგენლების, კლუბის სპონსორებისა და გულშემატკივრების წინაშე სიტყვით გამოვიდნენ „მონპელიეს" პრეზიდენტი მოჰედ ალტრადი, მთავარი მწვრთნელი ფაბიენ გალტიე და კაპიტანი ფლუჟანს უოდრაოგო, რომლებმაც თბილი სიტყვები არ დაიშურეს „გულივერას" დამსახურების აღსანიშნავად. ფაბიენ გალტიემ ისიც დასძინა, რომ „ეს დაჯილდოება ცოტა დაგვიანებულიც კია. მამუკა უკვე სამ წელიწადზე მეტია, რაც ქომაგთა რჩეული მორაგბეა".

საზეიმო ცერემონიალის დასასრულს გორგოძემ დაფასებისთვის „მიდი ოლიმპიკის" რედაქციას, ასევე კლუბის მესვეურებს, მწვრთნელებსა და თანაგუნდელებს მადლობა გადაუხადა.

**გივი გაგუა**

სიტუაცია

# გუნდებმა რაღა დააშავეს?

**გუშინ უკვე გაუწყეთ, რომ სუპერლიგის პრინციპული მატჩი „სოხუმმა" თბილისის „დინამოს" 74:73 მოუგო და დიდი ნაბიჯი გადადგა პლეიოფისკენ. როგორც ირკვევა, ავჭალის ბულვართ — კალათბურთის ფედერაციამ კაზუისტიკური გადაწყვეტილება მიიღო და 10 აპრილისთვის აღნიშნული შეხვედრის გადათამაშება დანიშნა.**

მეხი მეორე ტაიმის დასაწყისში გავარდა, როცა კლეიტონმა „თეთრ-ლურჯები" დააწინაურა — 45:44 და თან საჯარიმოს ტყორცნის უფლებაც მოიპოვა, რომელიც ზუსტად შეასრულა. ძაღლის თავიც სწორედ ამ ეპიზოდშია დამარხული — სამდივნოს თანამშრომლებმა ირაკლი ხოშტარიას შეგირდებს ოპერატიულად მიუთვალეს ორი ქულა, ხოლო მესამე რატომღაც „გაახალტურეს".

სხვათა შორის, პრესლოჟაში შეკრებილმა მასმედიის წარმომადგენლებმა ამ იაღლიშზე მაშინვე მიუთითეს, ვისაც ჯერ არს, მაგრამ სამართლიანობა ტაბლოზე არ ასახულა.

გეკითხებით: ან დინამოელებმა რა დააშავეს, რომლებსაც საბედისწერო ქულა დააკლეს, ან, მით უმეტეს, ზღვისპირელებმა, ვისაც, მათგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოპარეს?




თუ ვინმე გვიპასუხებს, რომ ფედერაციის შესაბამისმა კომიტეტმა სუპერლიგის დებულების სათანადო პუნქტის გათვალისწინებით იმოქმედა, კიდევ უარესი. დიახ, კარგად გვქონია საქმე, თუ ეროვნული ჩემპიონატის სახელმძღვანელო დოკუმენტი ასეთი აბსურდული პარაგრაფებითაა შედგენილი.

**გია პლატონიშვილი**

კადრები

# მაია აზარაშვილი ფედერაციის „სპორტი ყველასათვის" პრეზიდენტად აირჩიეს

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში საქართველოს ეროვნული ფედერაციიის — „სპორტი ყველასათვის" საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართა, რომელსაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე, ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი და გაზეთ „ლელოს" მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე დაესწრნენ. თენგიზ გაჩეჩილაძე ფედერაციას „სპორტი ყველასათვის" წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა.**

ყრილობაზე გასულ წლებში ფედერაციის მიერ გაწეული საქმიანობა შეჯამდა, მოგვიანებით კი დღის წესრიგის მიხედვით ფედერაციის ახალი პრეზიდენტის არჩევნები მოეწყო.

„სპორტი ყველასათვის" ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის სურვილი ერთადერთმა კანდიდატმა, ვეტერანმა მძლეოსანმა, 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა და საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა მაია აზარაშვილმა გამოთქვა, ვინც დელეგატებს თავისი სამოქმედო გეგმა გააცნო. დელეგატებმა აზარაშვილის კანდიდატურას მხარი ერთხმად დაუჭირეს.

საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაში 42 დელეგატი მონაწილეობდა. მოგვიანებით ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა დელეგატებს ის გუნდი წარუდგინა, რომელთან ერთადაც მუშაობას აპირებს.



ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი დავით ტატიშვილი, ხოლო გენერალური მდივანი ზაალ ჩიტალაძე იქნება. მაია აზარაშვილი ფედერაციის მეორე ვიცე-პრეზიდენტის ვინაობას მოგვიანებით დაასახელებს.

**მანუჩარ გიორგაძე**

ფიასკო

# ამას არავინ ელოდა

**გაგვაწბილეს — რბილად ასე შეიძლება შეფასდეს დარბაზბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრების გამოსვლა ჰოლანდიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდში.**

„ჯვაროსნები" ჯერ ჩეხებთან შერცხვნენ — 1:4, ხოლო შემდეგ — მასპინძლებთან — 3:7 და ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს.

**ვიტალი ჯაფარიძე**



თაობა

# მათ უკვე იციან, ვისი გორისანი არიან

**თბილისის 157-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდნენ „საქართველოს ოლიმპიელთა კლუბის" წევრები — ოლიმპიური ჩემპიონები ნინო სალუქვაძე, კახი კახიაშვილი და გია ასანიძე, ოლიმპიური პრიზიორები რამაზ ნოზაძე და ნესტორ ხერგიანი, მსოფლიოს ჩემპიონი რუსუდან ხოფერია, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ძაგანია. ღონისძიებას უძღვებოდა სპორტული კომენტატორი ჯამლეტ ხუხაშვილი.**

წარმატებულმა მოსწავლეებმა სკოლაში შეიტანეს სიმბოლური „ამირანის ცეცხლი", რომელიც ოლიმპიელთა კლუბის ორგანიზებით 26 ოქტომბერს მყინვარწვერიდან თბილისამდე საქართველოს სახელოვანმა სპორტსმენებმა ესტაფეტით ჩამოიტანეს.



საჩვენებლად წარმოდგენილი იყო ვიდეო და ფოტომასალა ქართველ სპორტსმენებზე, გამოფენილი იყო სპორტული ინვენტარი და ლიტერატურა.

ღონისძიების დასასრულს გაიმართა სხვადასხვა ტიპის აქტივობები — კითხვა-პასუხი, ვიდეომასალაზე მსჯელობა და სპორტული ვიქტორინა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სხვადასხვა პრიზებით.

**გიორგი შოთაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ოფშორული ზონა

# ფულის სამი ფერი

**ცოტა ხნის წინათ ლონდონის მახლობლად ქალაქ ასკოტში, საკუთარი მამულის სააბაზანო ოთახში გარდაცვლილი სკანდალურად ცნობილი ოლიგარქის, რუსეთის უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის ბორის ბერეზოვსკის ცნობილი გამონათქვამით, დიდი ფული ორი ფერისაა — შავისა და რუხის.**

„შავი ფული“ მაინცდამაინც ბევრ განმარტებას არ საჭიროებს, რადგან მისი ფერის ამბავი ყველამ კარგად იცის — იგი არაკანონიერი, შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში კრიმინალური, სისხლიანი გზითაა მოპოვებული. რაც შეეხება „რუხ ფულს“, ისიც კანონდარღვევითაა მიღებული, ოღონდ მისი მიღების გზას, ცხადია, პირობითად, ნახევრად ლეგალური შეიძლება ვუწოდოთ, რადგან წარმოშობის წყარო, უმთავრესად, გადასახადებისგან თავის არიდება, ანდა, სულაც მათი გადაუხდელობაა. მოკლედ ორივე ფერის „არსი“ ისაა, რომ არაკანონიერი გზითაა მიღებული, ამიტომ ლეგალურობისთვის „ფერიცვალება“, ანუ გათეთრება სჭირდება.

სწორედ არაკეთილსინდისიერი გზით მოპოვებული დიდძალი ფულის გასათეთრებლად ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია მისი ჯერ ოფშორულ ზონაში დამალვა, შემდგომ კი იქიდან შემოვლითი გზებით, არაერთ ქვეყანაში სხვადასხვა ტიპის საბანკო ოპერაციის გავლის შემდგომ უკვე სავსებით ლეგალურ ბიზნესში პირდაპირი ინვესტიციის სახით დაბანდება და ამ გზით მისთვის რესპექტაბელობის შეძენა.

თუმცა კი, ცხადია, ოფშორული ზონები მთელ მსოფლიოში სულაც არ არის იმისთვის შექმნილი, რომ მავანმა, უკაცრავად და, მამაძაღლობით ნაშოვნი ფულის გათეთრება უპრობლემოდ შეძლოს, მისი ფინანსურ-ეკონომიკური არსი, ბუნებრივია, სულ სხვაა. თავად **ოფშორი (ქვეყნის ტერიტორიის საზღვრებს გარეთ მყოფი) — ესაა უცხოელ მონაწილეთათვის საფინანსო-საკრედიტო ოპერაციების დროს შეღავათიანი რეჟიმის მოქმედების ტერიტორია (ან, გნებავთ, თავად რეჟიმი), რომელიც, ვთქვათ, დაბალ გადასახადებს, სავალუტო კონტროლის არარსებობას და სხვას გულისხმობს.** ასეთ ზონებში კომპანიებს დიდძალი ინფორმაციის გაუხმაურებლობის შესაძლებლობას აძლევს, რაც გარკვეულ პირობებში ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის სხვადასხვა არაკეთილსინდისიერი ბიზნესისთვის.

ამჟამად მსოფლიოში 72 ოფშორული ზონა მოქმედებს, რომლებიც მიმზიდველობის მთავარი კრიტერიუმი მეანაბრეთა ვინაობისა და მათი კაპიტალების ოდენობის გაუმხელობის ხარისხით განსხვავდებიან. ამ მხრივ ოფშორულ ზონებში უპირობო ლიდერია შვეიცარია, ხოლო მეორე ადგილზე, ბოლო რეიტინგული ანალიზის შედეგებით, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი, დიდი ბრიტანეთის იურისდიქციის ქვეშ მყოფი კაიმანის კუნძულებია.

ახლდახან კი გაირკვა , რომ პროტექტორატის ხელისუფლება ზონაში რეგისტრირებული კომპანიებისა და მათი დირექტორების შესახებ ინფორმაციას საყოველთაოდ ხელმისაწვდომს ხდის, რის შესახებ ადგილობრივმა სავალუტო რეგულატორმა „კიმამ“ ჰეიჯ-ფონდებისადმი შეტყობინებებით ამცნო. მიმართვაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ კაიმანის კუნძულების ადმინისტრაცია ადგილობრივი ფონდების შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნას აპირებს, რაც, თავის მხრივ, მათ ხელმძღვანელთა ვინაობისა და კვალიფიკაციის შესახებ მონაცემთა განსაჯაროებას გულისხმობს. ასევე აღნიშნულია, რომ მითითებული პროცესის მიზანია



**კორპორატიული მართვის სტანდარტების ამაღლება, ასევე ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა,** რა მიზნითაც საკონსულტაციო კომპანია „ერნსტ ენდ იანგი“ შესაბამისი კვლევის შედეგად ხელისუფლებას სათანადო რეკომენდაციებს მისცემს.

ფინანსურ სამყაროში ამან მძლავრი რეზონანსი იმის გამო ჰპოვა, რომ მანამდე ბრიტანული კაიმანის კუნძულები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ-ერთი ყველაზე დახურულ ზონად იყო მიჩნეული. ამდენად, მსოფლიო ფინანსურ წრეებში ამ მოვლენას მოწინავე ქვეყნების გავლენიანი პოლიტიკოსების ზეწოლას უკავშირებენ, რომლებსაც თავიანთი მძლავრი ეროვნული კომპანიების შემოსავლების ნაწილის ჩრდილის საფარველქვეშიდან გამოყვანა სურთ. გარდა ამისა, თავის მხრივ, ამ აქციის ინიცირება მსხვილ ინვესტორებსაც ეკუთვნით, რომლებსაც ზოგ შემთხვევაში მათი კუთვნილი შენატანების მენეჯმენტის კვალიფიკაცია საეჭვოდ მიაჩნიათ. შედეგად, საეჭვო ოპერაციების წარმოებაში უკვე მხილებულია რამდენიმე მსხვილი კომპანია და კომერციული ბანკი.

ექსპერტთა აზრით, დღესდღეობით მსოფლიოში საკმაოდ ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა, რომლითაც კაიმანის კუნძულებზე (და არა მარტო იქ) რეგისტრირებული კომპანიის დირექტორი ნებისმიერი ქვეყნის, რომელიც გნებავთ, მოქალაქე შეიძლება გახდეს, სრულიად დაუშვებელია. ამდენად, კაიმანის კუნძულებზე დაგეგმილ, ასე ვთქვათ, გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლების ოპერაციას ისინი მოწონებით შეხვდნენ.

კონკრეტულად თუ ვიმსჯელებთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ პროცესს, კერძოდ, საქართველოსთვის, ორი სიტყვით ვიტყვით, რომ აღნიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შედეგად დანამდვილებით გახდება ცნობილი, თუ ვინ ფლობს რეალურად ამა თუ იმ ასე ჰაიჰარად განიავებულ სახელმწიფო საკუთრებას, უამრავი ჩვენი ბიზნესმენისთვის უკანონოდ წართმეულ ქონებას, რომლის მათთვის დაბრუნების პროცესის დაწყებას ამჟამად მაინცდამაინც არავინ ჩქარობს.

**ოთარ ტურაბელიძე**

## ტკბილი ცხოვრება

**უტკბილეულოდ ბევრს ცხოვრება აუტანლად მიაჩნია. თუ შეიძლება, რომ დესერტებზე უარის უთქმელად, შევინარჩუნოთ ტანკენარობა და დავიკლოთ კიდეც ზამთარში „შეძენილი“ კილოგრამები? ამისთვის ვირჩევთ ყველაზე დაბალკალორიულ დესერტებს.**

**ჩვენი ექსპერტი — კვების სპეციალისტი, მედიცინის ფსიქოლოგი, გახდომის კლინიკის ხელმძღვანელი ელენა მოროზოვაა.**

# რომელი დესერტია უვნებელი წელისთვის



### სორბეტი

**ეს დესერტი გაყინული ხილი და წვენია. ამ კერძის კალორიულობა უთანაბრდება ხილის კალორიულობას, რისგანაც მას ამზადებენ. არ არის ძნელი სორბეტის დამზადება:** დაჭყლიტეთ კენკრა ან ხილი ბლენდერში ერთსახოვანი პიურეს მიღებამდე, გადაიტანეთ პლასტმასის სათავსში ან პაკეტში და მოათავსეთ საყინულეში. როგორც კი ნარევი გაიყინება, მიიღებთ გემრიელ ნაყინს, რომლის მირთმევაც უნდა მოასწროთ 48 საათის განმავლობაში. სორბეტი 100 გრამ მზა პროდუქტში საშუალოდ 35-დან 70 კილოკალორიას შეიცავს.

### ხილის სალათები

**ოღონდ არ არის საჭირო მისი დამძიმება ნიგვზით ან თაფლით. ნატურალური იოგურტით შეზავებული ხილის სალათი „მიაღწევს“ 80-110 კილოკალორიას 100 გრამ დესერტზე.**

### ჩირი

**იგი გემრიელია და სასარგებლო, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ჩირი საკმაოდ კალორიულია. მაგალითად, ყოველ ნედლ ვაშლში 30 კილოკალორიაა, მის ჩირში — 220 კილოკალორია 100 გრამში. მაგრამ ვაშლის ჩირი — ეს მეტად „მსუბუქი“ პროდუქტია, ამიტომ ვაშლის ღეჭვა „ხელსაყრელია“ წელისთვის, 100 გრამი ეს სასარგებლო დესერტი რომ მიირთვათ — ვფიქრობთ გაგიჭირდებათ.**

მსხლისა და ვაშლის ჩირი გვეხმარება არა მხოლოდ იმაში, რომ მოვიკლოთ ერთი-ორი კილოგრამი, არამედ მას ორგანიზმიდან გამოჰყავს ზედმეტი მარილები. ვაშლის ჩირი შეიცავს პექტინს, ბრომელაინს და ის აწესრიგებს დანაყრების შეგრძნებას. ხმობის შემდეგ ეს ხილი (ვაშლი, მსხალი, ქლიავი და ა.შ.) ინარჩუნებს თავის თავში ყველა ვიტამინს (pp, A B, B, C) და გლუკოზას. მსხლის ჩირს ნორმაში მოჰყავს ნივთიერებათა ცვლის პროცესები, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას და გამოაქვს ორგანიზმიდან მძიმე ლითონების მარილები.

### შემწვარი ხილი

**ალექსანდრე პუშკინის საყვარელი დესერტი იყო შემწვარი ვაშლი დარიჩინით.** რატომ არ უნდა მივბაძოთ ჩვენც დიდი პოეტის მაგალითს? შეიძლება შევწვათ კომში (დავუმატოთ შავი ქლიავი და ერთი-ორი ჩამიჩი) ან მსხალი, რომელსაც, სხვათა შორის, შეიძლება დავუმატოთ ვაშლის ან გოგრის ფარში. შემწვარი გოგრა თავისთავად მეტად ტკბილია და სასარგებლო, ხოლო თუ მასში ჩავდებთ ქლიავს, კოჭას და დარიჩინს, გამოვა დიდებული დესერტი.

თუ კატეგორიულად არ გყოფნით ტკბილი, შემწვარ ხილს ნახევარი ჩაის კოვზი თაფლი დაუმატეთ.

### მარმელადი

**უმჯობესია შევარჩიოთ ხილკენკროვანი ნაირსახეობა. ასეთ მარმელადს ღებულობენ გვიანი მწიფობის ვაშლების პიურესგან. გემო რომ გაამრავალფეროვნონ, გახეხილ ვაშლს უმატებენ სხვა კენკროვანებისა და ხილის პიურეს.** ჟელეს თვისებების მისანიჭებლად პიურეში დებენ ჟელატინს, აგარ-აგარს (ზღვის ზოგი წყალმცენარისგან მიღებული ლაბა), პექტინებს, შაქრის ფხვნილს ან მის შემცველს. პექტინსა და აგარ-აგარს ორგანიზმიდან გამოაქვთ ტოქსინები, ასუფთავებენ ღვიძლს. პექტინი ასევე აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, ნორმაში მოჰყავს ქოლესტერინის დონე სისხლში. ჟელატინი ამაგრებს თმებს, აუმჯობესებს კანის მდგომარეობას.

### შოკოლადი

**არ აუარესებს ფიგურას, თუ ის შავი მომწარო გემოსია, კაკაოპარკოსნების 70 პროცენტზე მეტი შემცველობით. მისი მაღალი კალორიულობის დროს (600 კილოკალორია), ამ პროდუქტს აქვს დაბალი გლიკემიური ინდექსი (სისხლში შაქრის დონეზე პროდუქტების გავლენის მაჩვენებელი).** რაც დაბალია პროდუქტის გლიკემიური ინდექსი, მით მეტი შრომა უწევს ორგანიზმს მისი გახლეჩვისათვის და მით ნაკლებია იმის ალბათობა, რომ მირთმეული აისახება წელზე. ამიტომ შავი შოკოლადის 10 გრამი საუზმეზე შეიძლება მიიღოთ თუნდაც ყოველდღე. მაგრამ არც თეთრ, არც რძის შოკოლადს კარგ ფიგურასთან არანაირი დამოკიდებულება არა აქვს.

### დაიმახსოვრეთ

- **ჩირებს შეუძლიათ დაგვიამონ არა მხოლოდ ცხოვრება, არამედ სარგებლობაც მოუტანონ ჯანმრთელობას.**
- **ჩამიჩი ამშვიდებს ნერვულ სისტემას, სასარგებლოა ოსტეოპოროზის დროს.**
- **ჭერმის ჩირი შეიცავს ბევრ კალიუმს და კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს გულზე, აგრეთვე ამცირებს ონკოლოგიურ დაავადებათა განვითარების რისკს. შავქლიავი აწესრიგებს კუჭნაწლავთა მუშაობას, გვიცავს ყაბზობისგან, ოდნავ დაბლა სწევს წნევას. სასარგებლოა მათთვის, ვინც ხშირად უზის კომპიუტერს, ვინაიდან შეიცავს ვიტამინებს, რომლებიც აუმჯობესებს მხედველობას.**
- **ლეღვი ხელს უწყობს ფარისებრი ჯირკვლის მუშაობის გაუმჯობესებას.**

---

**სულგანათლებული ოთარ ქვილითაიას მეგობრები დიდი გულისტკივილით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ოთარის ძვირფასი მეუღლე, დიდი დედა და ბებია, საქართველოს დიდებული რძალი, უკეთილშობილესი ქალბატონი**

**ნინა ქვილითაია**

**და ვუსამძიმრებთ ოთარისა და ნინას ფუძეურყევ ოჯახს.**

**ჯემალ მიქელაძე, ნიკოლოზ ნეფედოვი, ავთანდილ საყვარელიძე, ბორის სარალიძე, ირაკლი ჟორდანია, ნუკრი მანჯგალაძე, დამირ მანჯგალაძე, ირაკლი მეგრელაძე, თამაზ ცინცაძე, თამაზ შილაკაძე.**

---

**საქართველოს საინჟინრო აკადემია სამძიმარს უცხადებს ბატონ ზურაბ ტყემალაძეს მეუღლის**

**ირინა გელანტიას**

**გარდაცვალების გამო.**

---

## ალიან-ჩალიანი

### სამართალდამცველებმა გამყალბებელი დააკავეს

**სამართალდამცველებმა დიდი ოდენობით სხვისი სასაქონლო ნიშნის გამოყენებისა და სამოქალაქო ბრუნვაში შეტანის ფაქტზე მოქალაქე კახა დიასამიძე დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსს„ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა ჩინური წარმოების 400 ცალ მობილურ ტელეფონს სამარკო ნიშანი შეუცვალა და აღნიშნული მობილურები, როგორც „ნოკიას“ ფირმის წარმოებული პროდუქცია, 7 200 აშშ დოლარად გაყიდა.**

**გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით.**

### შეიარაღებული თავდასხმა გურიაში

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. სამი ნიღბიანი პირი დოლიძეების ოჯახში წუხელ, გვიან ღამით შეიჭრა. არსებული ინფორმაციით, ოჯახის წევრებმა სამ შეიარაღებულ პირს წინააღმდეგობა გაუწიეს, რა დროსაც თავდამსხმელებმა ოჯახის ერთ-ერთი წევრი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს. შეიარაღებულმა თავდამსხმელებმა სახლიდან ვერაფრის წაღება ვერ მოახერხეს.**

**ოზურგეთის სამედიცინო ცენტრის დირექტორის დავით მდინარაძის განცხადებით, პაციენტს ჭრილობები ცეცხლსასროლი იარაღით აქვს მიყენებული. მას უკვე გაუკეთდა ოპერაცია და ახლა რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. მისი მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა. შემთხვევის ადგილზე მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ კრიმინალისტები. მომხდარს შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველო იძიებს.**

### სარფის საბაჟოზე ჰეროინი აღმოაჩინეს

**შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე ჰეროინი აღმოაჩინეს. როგორც „ინტერპრესნიუსს„ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, ამოღებულია 3 პაკეტად დაფასოებული 2,8 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, 28 მარტს, გვიან საღამოს, სარფში თურქეთიდან საქართველოს მოქალაქე კ.ს. შემოვიდა, რომელსაც თან ჰქონდა აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებები. შემდგომი რეაგირების მიზნით, საქმის მასალები კრიმინალურ პოლიციას გადაეცა.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ჩვენი გონება

# მოსაწყენი სამუშაოს სიკეთე



**აქამდე აქსიომად ითვლებოდა: მოსაწყენი და ერთფეროვანი სამუშაო ტვინს იმდენად აშრობს და აჩლუნგებს, რომ კაცმა თავისუფლად შეიძლება დეგრადირება დაიწყოს. მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ ყოველდღე წიგნებს ერთი კარადიდან მეორეში აწყობთ, ანდა თხრილი გაგყავთ, რომ იტყვიან, „იმ ხიდან საღამომდე“. რამდენიმე დღის შემდეგ ამისთანა სამუშაოს არა თუ შესრულებაზე, გაფიქრებაზეც კი კაცი შეიძლება გაგიჟდეს.**

მეცნიერებიც იმ აზრისა იყვნენ, რომ მონოტონური მოქმედებები ადამიანს მანქანად აქცევს. ჩვენი თავის ტვინი ამ დროს თითქოს ავტოპილოტის რეჟიმში იწყებს მუშაობას, უფრო ეკონომიურად მოქმედებს და ერთი და იგივე ამოცანის შესრულებაზე გაცილებით ნაკლებ ენერგიას ხარჯავს. ამ დროს კი იზრდება აქტივობა თავის ტვინის სხვა ნაწილში, რომელიც, ჩვეულებრივ, დასვენების დროსაა ჩართული. ამდენად, სპეციალისტების დასკვნით, ადამიანი უფრო მეტად სულელი ხდება, რის შედეგად ყველაზე მარტივი საკითხების გადასაჭრელად მას დიდი ძალისხმევა სჭირდება.

მაგრამ, ცოტა ხნის წინათ, „მოწყენილობის ჰიპოთეზას“ წერტილი დაუსვეს ცენტრალური ლანკაშირის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის მეცნიერებმა. მოკლედ რომ ვთქვათ, **აღმოჩნდა, რომ რუტინული სამუშაო შემოქმედებით ნიჭს ასტიმულირებს.** ექსპერიმენტის დროს 15 წუთის განმავლობაში 40-კაციანი მოხალისეთა ჯგუფი ტელეფონის წიგნიდან აბონენტების ნომრებს იწერდა. შემდეგ გამოსაცდელებს შემოქმედებითი დავალების შესრულებას სთხოვდნენ: მაგალითად, მოეფიქრებინათ, თუ რის გაკეთება შეიძლება... პლასტმასის ორი ფანჯრისგან. რუტინით გატანჯულმა და ნამდვილ საქმეს მონატრებულმა მოხალისეებმა ორიგინალური იდეების, რომ იტყვიან, ფეიერვერკი მოაწყვეს!

საკონტროლო ჯგუფის მოხალისეებმა კი, რომლებსაც „გადამწერთა“ ბედი ასცდათ და რომლებსაც თავიდანვე შესთავაზეს რაიმე ორიგინალური მოეფიქრებინათ, თავი ბევრი ვერაფრით გამოიჩინეს, კრეატიული იდეა მათ გაცილებით ნაკლები აღმოაჩნდათ.

ახლა მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, რომ **მოსაწყენი სამუშაო შემოქმედებით ნიჭს ასტიმულირებს, რადგან განყენებულად ფიქრს, „ცაში ფრენის“ დროს ტოვებს.** ამით იგი თავის ტვინს განტვირთავს გენიალური იდეების გასააზრებლად. ამდენად, გამორიცხული სულაც არ არის, როცა ჩვეულებრივი, ორდინალური, მონოტონური სამუშაოს შემსრულებლები მხატვრული ღირსებებით გამორჩეულ ნაწარმოებებს ქმნიდნენ.

მეცნიერთა აზრით, **გონების მოდუნება — ნამდვილად ძალიან რთული მდგომარეობაა. როცა თქვენ რეალურ ადგილსა და დროს „ეთიშებით“ და რაღაც შორეულ სამყაროში მიდიხართ, თავის ტვინისთვის ეს გამუდმებულ დაძაბულობაზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მდგომარეობაა.** ჩვენ მივეჩვიეთ პრობლემის არსზე გონების ფოკუსირებას, სინამდვილეში კი მას ერთგვარად „ზემოდან“ უნდა დავხედოთ. მაშინ „გონების განათების“ მომენტებიც უფრო მრავლად გვექნება.

**ლალი ხუნდაძე**

ჩვენი პრესდაიჯესტი



## [illegible] გაზეთებიდან

### ნათელაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადებას იწყებს

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი ოქტომბერში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას გეგმავს. მისი თქმით, პარტია ბრძოლის აქტიურ რეჟიმში გადადის და მზად არის, ივანიშვილისა და სააკაშვილის ტანდემს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიოს. ნათელაშვილი ამბობს, რომ პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის კოჰაბიტაცია შეხმატკბილებულობაში გადაიზარდა, ქვეყანა კი უფსკრულის პირას იმყოფება. მზად ვარ, თავში ქვა ვიხალოთ და ქვეყანა გადავარჩინოთ! — მოგვიწოდებს ნათელაშვილი.

**„რეზონანსი“**

### „სააკაშვილის მხრიდან საფრთხე ყოველთვის იარსებებს“

— ფიქრობს პროფესორი ლადო პაპავა, — იგი შეეცდება, რომ დარჩეს ნაციონალური მოძრაობის „აიათოლა ჰომეინი“, ანუ იყოს პარტიის თავმჯდომარე, მაგრამ, დღეს თუ სააკაშვილს კიდევ ჰყავს მხარდამჭერები, ჰყავს იმიტომ, რომ არის პრეზიდენტი და ხელისუფლების გარკვეულ სეგმენტს აკონტროლებს. როცა ის ხელისუფლებას ჩამოშორდება, ბევრ მხარდამჭერს დაკარგავს, ხოლო მისი ყალბი რიტორიკა იმდენად გაცვეთილია, რომ ძნელი წარმოსადგენია, რა შეცდომები უნდა დაუშვას „ქართულმა ოცნებამ“, რომ სააკაშვილი ისევ გახდეს პოპულარული. თუმცა, საფრთხე მისგან ყოველთვის მოსალოდნელია.

**„ახალი თაობა“**

### ცოტნე გამსახურდია პოლიტიკაში მოსვლას გეგმავს?!

**31 მარტს** საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ გარკვეული ჯგუფი ამ თარიღის პომპეზურად აღნიშვნის დაკანონებას აპირებს. ექსპრეზიდენტის ვაჟი ცოტნე გამსახურდია ამ ცოტა ხნის წინათ ციხიდან გამოვიდა და, როგორც ამბობს, გარკვეული გეგმები აქვს პოლიტიკასთან მიმართებაში. „ვგეგმავ არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. შესაძლოა, სხვა ტიპის ორგანიზაციაც, თუმცა, ჯერჯერობით, კონკრეტულად ამ თემებზე საუბარი არ მსურს. ამ ეტაპზე ანალიტიკური მუშაობითა და კონსულტაციებით შემოვიფარგლები“, — ამბობს ცოტნე გამსახურდია.

**„ვერსია“**

ცოცხალი ბუნება

# მიწიერი ელფები, ნისლპარდი...

**მარტის დამდეგს მსოფლიოში... კატების საერთაშორისო დღე აღინიშნა.**

**ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში კატის ახალი ჯიში გამოიყვანეს, რომელსაც ელფი დაარქვეს. უნდა ითქვას, რომ ეს კატები მართლაც ფანტასტიკურ არსებებს უფრო ჰგვანან, ვიდრე ჩვეულებრივ ფისოებს, რომლებსაც ასე მიჩვეულები ვართ. სურათზე ადვილად დარწმუნდებით ამ კატების არაჩვეულებრივ გარეგნობაში — მარტო ყურები რად ღირს!**

ამ კატების თაყვანისმცემლები მათ ცნობილი მსახიობის ორლანდო ბლუმის მიერ გახმაურებულ ფილმში „ბეჭდების მბრძანებელი“ სიმპატიურ ელფს ლეგოლასს ადარებენ, თუმცა კი, კაცმა რომ თქვას, ისინი გაცილებით მეტად სხვა ელფს ჰგვანან — ესაა დობი ფილმების ციკლიდან ჰარი პოტერისა და მისი მეგობრების თავგადასავლების შესახებ.



ამ ჯიშის გამოყვანა 2007 წელს დაიწყეს. კატების სელექციონერის კარენ ნელსონის თქმით, მას სურდა ისეთი ახალი ჯიშის მიღება, რომელსაც სფინქსისა და კიორლების გარეგნობა, თან ისეთივე ნაზი და ალერსიანი ხასიათი ექნებოდა. და, როგორც თავად ამბობს, მან დასახულ მიზანს მიაღწია. ელფებს ამერიკული კიორლების ყურები აქვთ, ხოლო შიშველი სფინქსებისგან — ყველაფერი დანარჩენი. ზრდასრული ელფი 3-დან 6 კილოგრამამდე იწონის.

ძილი მათ საბნის ქვეშ, პატრონების ლოგინში ურჩევნიათ და ყველასთან, მათ შორის ძაღლებთანაც კი მეგობრობენ. ამ ჯიშის მცოდნეები ამბობენ, რომ ელფებში ერთდროულად ცხოვრობენ კატა, ძაღლი, მაიმუნი და ბავშვი. ეს კატები ძაღლებივით ერთგულნი, მაიმუნივით ანცები და საზრიანები და ბავშვივით მიამიტნი არიან. კატა-ელფი ძალიან იშვიათი ჯიშია — ამერიკის შეერთებულ შტატებში ისინი მხოლოდ ათამდე ოჯახს თუ ჰყავს და ერთი კნუტის ფასი ორი ათასი დოლარიდან იწყება.

სხვათა შორის, ახალი ჯიში მარტო შინაური კატების ოჯახში არ გაჩენილა. ველური კატების ყველაზე ახალი წარმომადგენელია ბორნეოს ნისლ ლეოპარდი (Neofelis diardi). თავდაპირველად მას ნისლა ლეოპარდის ქვესახედ მიიჩნევდნენ, მაგრამ დნკ-ს ანალიზმა აჩვენა, რომ ეს დამოუკიდებელი სახეობაა, რომელსაც ნისლპარდებსაც უწოდებენ. ბუნებაში იგი მხოლოდ ბორნეოსა და სუმატრაზე ბინადრობს. მისი სიგრძე დაახლოებით ერთი მეტრია და 25 კილოგრამამდე იწონის.

**თამარ გოგიაშვილი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

**სამშობიაროს** ექთანს სამი ტყუპი გამოჰყავს და მამას გადასცემს:

— ხომ კარგებია?

— კი! — ამბობს ნირწამხდარი მამა და ბავშვები მანქანისკენ მიჰყავს.

— მაგენს მანქანაში რომ ჩააწყობ, მობრუნდი, სამი კიდოა! — უყვირის ექთანი.

* * *

**მიხო** ცოლთან ერთად თევზაობს.

— ქალო, თევზი შეწვი!

— ჯერ ხომ არ დაგიჭერია?

— შენ დაიწყე, თევზი იქნება!

* * *

**ახალბედა** მონადირე ახლობლებს უყვებოდა დათვზე ნადირობის შესახებ:

— დავინახე დათვი, მოვუშვი ახლოს, თოფმა კი არ გაისროლა; გამომეკიდა, გავიქეცი, მაგრამ რას გაასწრებ, ავძვერი ხეზე; ამომყვა, მაგრამ უცებ ფეხი დაუცურდა და დაიმტვრა — ჩამოვედი და სულ კონდახი ვურტყი თავში...



— ვაა, შენ რა მამაცი ყოფილხარ, შენს ადგილზე მე ჩავისვრიდი, — წამოიძახა ერთერთმა.

— აბა შენ რა გგონია, რაზე დაცურდა?

* * *

— **მიხო** გადმოვა თვითმფრინავიდან და შარვალი ჩაძვრება, აიწევს და თან ჩაიბურდღუნებს:

— ხო შემჭამეს ამ სტიუარდესებმა, ხან შეიკარით, ხან გაიხსენით ქამრებიო...

* * *

— **ბეიბე**, ჩვენი კაკოიე რომ მომკვდარა?

— არ გადამრიო, როდის, ბოშო?!

— დილის 4 საათზე.

— მაგიზა გეიღვიძა ასე ადრიანად მაგ უბედურმა?!

* * *

**ქალი** ექიმს ეუბნება:

— ექიმო, ჩემმა ქმარმა აიჩემა, ნაპოლეონი ვარო!

— არა უშავს, შევეცდები, განვკურნო.

— იქნებ პირდაპირ კუნძულზე გადაგვესახლებინა?

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com